-171
972

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

5

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მ ა ი ს ი

თბილისი 1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 24 თებერვლის ბრძანება № 91/86

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მუშაობს 100-მდე სკოლამდელი დაწესებულება 2801 ბავშვით.

შემოწმდა ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ტყიბულის, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ქობულეთის რაიონების 34 სკოლამდელი დაწესებულების მუშაობა. ზოგიერთ შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებაში ყურადღება ექცევა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვასა და მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

ქ. თბილისის საქპურტრესტის პირველი ქარხნის № 106, თამბაქოს მეორე ფაბრიკის № 100, ქ. ქუთაისის მინისტარის ქარხნის, გურიანთის, ინგირის, ორჯონიკიძის, ქობულეთის № 2, მუხაესტატეს, აჭყვის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღებში (გამგეები: ნ. სხირტლაძე, ნ. ნაცვლიშვილი, მ. დვალი, ქ. ჩხაიძე, ტ. ხასია, ლ. ავალიშვილი, თ. გოგიტიძე, შ. გოგიტიძე, გ. ჩიქობავა) შექმნილია მყუდრო პედაგოგიური გარემო ბავშვების სწორად აღზრდა-განვითარებისათვის და მუშაობა წარმართულია აღზრდის პროგრამის მიხედვით.

აღმზრდელები ც. პაპიაშვილი, ნ. ჭოხონელიძე, თ. ვერულიძე, ც. ბიბილეიშვილი, მ. მამულაშვილი, მ. შენგელია, მ. [illegible]ლაძე, ნ. აზმაიფარაშვილი, ვ. ანდღულაძე (საფერმენტაციო ქარხნის, ქუთაისის მინისტარის ქირხნის, ქობულეთის № 2 ჩაის ფაბ-

რიკის, საქპურტრესტის პირველი ქარხნის № 106, სუფსის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღები) დადგენილი განრიგის შესაბამისად მომზადებულად და მეთოდურად სწორად ატარებენ მეცადინეობებს.

ამ უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გარკვეულ მუშაობას ახორციელებენ ადგილობრივი რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები. აღმზრდელებისა და გამგეების უმრავლესობა ჩაბმულია სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანებებში; მათ შეძლებისდაგვარად აწვდიან მეთოდურ ლიტერატურას და სხვ.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვისა და მომუშავე ქალთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ქალებს ძირითადად ამუშავებენ დღის ცვლებში, აქვთ ჰიგიენის ოთახები და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია თამბაქოს ფაბრიკა № 2 (დირექტორი ა. კეკელია), შამპანური ღვინოების ქარხანა (დირექტორი ა. მელუა), თბილისის პურის ქარხანა № 1 (დირექტორი მ. უთნელიშვილი), მახარაძის ჩაის ფაბრიკა № 1 (დირექტორი გ. ბაბილოძე), ინგირის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ა. შონია), ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ს. ებრალიძე) და ნარაზენის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ა. გრიგოლია).

დადებითთან ერთად შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანება:

კვების მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას მუშაობა— გამგეები ვერ ახორციელებენ სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის მუშაობაზე; მოუფიქრებლად და უპასუხისმგებლოდ ადგენენ სამუშაო გეგმებს.

არაკონკრეტულია და სწორად არ არის საკითხები შერჩეული ქ. თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის საბავშვო ბაღის (გამგე ნ. ვაჩეიშვილი) სამუშაო გეგმაში.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა სუსტადაა დაყენებული ბუცუბნის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში (გამგე გ. გოხი-

ძე), სათანადო ყურადღება არ ექცევა სახვითი საქმიანობის სწავლებას ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღში (აღმზრდელი ა. ბეღელაძე), თამაშების სწორად და ემოციურად ჩატარებას, სათამაშოების ბავშვთა ასაკის შესაბამისად შერჩევას.

აღმზრდელები გ. მეხუზლა, ნ. ცინცაძე, ნ. გვენეტაძე (ნასაკირალის, ლიხაურის, შრომის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღები) ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ყოველდღიური მუშაობის დაგეგმვას, სწორად ვერ აწარმოებენ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას. აგეგმვა-აღრიცხვაში არ ჩანს ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფი კი ბავშვთა ასაკით შერეულია.

აღმზრდელი ი. არფილაყვა (ქ. თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის № 100 საბავშვო ბაღი) სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმეს — შემოწმების პროცესში ბავშვები დამლაგებლების ამარა ჰყავდა მიტოვებული.

შემოწმებულ ზოგიერთ საბავშვო ბაღში ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვთა გონებრივი განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს მოწყობას, არ აქვთ წესრიგში წიგნების, ბუნებისა და სათამაშო კუთხეები: ტყიბულისა და ორპირის ჩაის ფაბრიკების, საქპურტრესტის № 106 საბავშვო ბაღების ბუნების კუთხეები ღარიბია მცენარეებით; ზუგდიდის ჩაის საწნეხი, ნიგვზიანის, ლიხაურის, შრომის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღების ბუნების კუთხეები არაა სათანადოდ მოწყობილი, არასწორად არის შერჩეული მცენარეები, არ წარმოებს ბავშვების დაკვირვება მცენარეებისა და ცხოველების ზრდა-განვითარებაზე. ქ. თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის საბავშვო ბაღში ბავშვებს არასწორ ცოდნას აძლევენ მცენარეებზე.

ქ. თბილისის თამბაქოს ფაბრიკის № 100 და ცაიშის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღებს არა აქვთ საკმაო რაოდენობით მათემატიკურ წარმოდგენათა და მეტყველების გასავითარებლად საჭირო დიდაქტიკური მასალა, ტექნიკური ხასიათის სათამაშოები.

ბევრ შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებაში გამოუყენებელია ტიპიური შტატით გათვალისწინებული მუსიკის მასწავლებლის 0,25 განაკვეთი, რის გამოც სუსტია ბავშვთა მუსიკალური აღზრდა.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში სათანადოდ არ ხორციელდება სამედიცინო დახმარება. ბობოყვათის, ნიგვზიანის, შრომის ჩაის

ფაბრიკების საბავშვო ბიღებში არ ჰყავთ სამედიცინო პერსონალი. ამ საბავშვო ბაღებს საჭირო დახმარებას ვერ უწევენ მიმაგრებული ექიმები და ექთანები, რის გამო რეგულარულად არ წარმოებს თერმომეტრიზაცია, ბავშვების პირადი ჰიგიენის შემოწმება, კვების კალორიულობის გამოანგარიშება და სხვ. არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, საპირფარეშოები არ მუშავდება ქლორიანი ხსნარით, უმცროსი ასაკის ბავშვებს არა აქვთ ინდივიდუალური ქოთნები; მდგომარეობას ართულებს კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის უქონლობა.

ცაიშის, სუფსის, ნიგვზიანის, ლიხაურის, შრომის, ნასაკირალის, ნაგომარის, ქობულეთის № 1, ჩაქვის № 1, აჭყვის, ხუცუბნის, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების და ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღები სათანადოდ ვერ მარაგდებიან კვების პროდუქტებით, იშვიათად ეძლევათ ბავშვებს ცხელი საუზმე. კვებისათვის განკუთვნილი თანხის ათვისება ხდება ძვირადღირებული პროდუქტების (ძეხვეული, შოკოლადი და სხვ.) შეძენის ხარჯზე, რაც ნორმით არ არის გათვალისწინებული.

ბევრი სკოლამდელი დაწესებულება სათანადო მუშაობას ვერ ატარებს ბავშვთა კონტინგენტით შევსებისათვის. მაგალითად, ტყიბულის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში სიით ირიცხება 11 ბავშვი, მაშინ, როდესაც ამ საბავშვო ბაღის მიკრორაიონში ბევრი ბავშვია დარჩენილი სკოლამდელი დაწესებულების გარეშე. მათ ჩარიცხვაზე ჩაის ფაბრიკის დირექცია და საბავშვო ბაღის გამგეთავს იკავებენ იმ მოტივით, რომ ბავშვების მშობლები არ მუშაობენ ფაბრიკაში, რითაც ირღვევა ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომლის მიხედვით წარმოების საბავშვო ბაღში უნდა ჩაირიცხოს 20% იმ ბავშვებისა, რომელთა მშობლები არ მუშაობენ აღნიშნულ წარმოებაში. მრავალი საწარმოო დაწესებულება სათანადო ყურადღებას არ იჩენს მცირე კომპლექტიან სკოლამდელ დაწესებულებათა გამსხვილებისათვის, ბაგებისა და საბავშვო ბაღების ბაგა-ბაღებად გადაკეთებისათვის, მაგალითად, მახარაძის რაიონის კვების მრეწველობის სამინისტროს ყველა ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობაში მოთავსებულია ერთჯგუფიანი ბაგა, ხოლო ზუგდიდის № 1 ჩაის საწნეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღის ერთ შენობაში—ორი ბაგა და ორი საბავშვო ბაღი მუშაობს 4 გამგით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ართულებს მუშაობას, როგორც ბავშვებისათვის საჭირო პირობების შექმნისა, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესებ-ის სწორად წარმართვის საქმეში.

ნაკლები ყურადღება ექცევა პედაგოგიური კადრების შერჩევას, მაგალითად, ტყიბულისა და ლიხაურის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღების გამგეები არაპედაგოგიური განათლებით არიან.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ ნაწილს არა აქვს შესაფერისი მატერიალური ბაზა. თბილისის შამპანური ღვინოებისა და თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების, შრომის, ნასაკირალის, ბახვის, ნიგვზიანის, სუფსის ჩაის ფაბრიკებია საბავშვო ბაღებს აკლიათ სადილისა და ჩაის ჭურჭელი, რაც აფერხებს საჭმლის დროულად მიწოდებას. თითქმის ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში ერთი და იგივე ზომის მაგიდები და სკამებია ხმარებაში, თუმცა ჯგუფები ასაკით შერეულია.

ზოგან სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებას, ჩაქვის № 1 ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის შენობის სახურავი დაზიანებულია, ავარიულ მდგომარეობაშია ზუკდიდის № 1 ჩაის საწნეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღის ჭერი, აცვენილია იატაკი, რაც საშიშროების წინაშე აყენებს აღსაზრდელებს. გადაუდებელ რემონტს მოითხოვს ორპირის, ნაგომარის, ნასაკირალის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღები.

მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და შეცვლას საჭიროებს ლაითურის, ნასაკირალის ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღების შენობები.

შევიწროებულ პირობებში უხდება მუშაობა ქ. ქუთაისის მინისტარის ქარხნის საბავშვო ბაღს. შენობიდან ბაგის გაყვანა დიდად შეუწყობს ხელს საბავშვო ბაღში ნორმალური პირობების შექმნას.

ნაკლები ყურადღება ექცევა ხანძარუშიშროების წესების დაცვას, ზოგან მოუწესრიგებელია შენობის გათბობის საკითხი, ბევრ სკოლამდელ დაწესებულებას ათბობენ თუნუქის ღუმელებით.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოების უმრავლესობა მოუწესრიგებელია, არა აქვთ ეზოსა და ფიზიკური კულ-

ტურისათვის იარაღები, საბოსტნე ნაკვეთები ბავშვთა შრომისა და ჩუნებაზე დაკვირვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვების მრეწველობის სამინისტროს სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ კვების მრეწველობის სამინისტროს სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მეთოდური დახმარება;

ბ) დახმარება აღმოუჩინონ საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს პედაგოგიური კადრების სწორად შერჩევისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, არ დაუშვან მათთან შეთანხმების გარეშე პედაგოგიური კადრის დანიშვნა;

გ) პერიოდულად შეისწავლონ აღნიშნულ სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა და შედეგები განიხილონ აღმასკომებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

დ) ეს ბრძანება წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებთან, ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის წარმომადგენლებთან ერთად განიხილონ სკოლამდელ მუშაკთა გაფართოებულ თათბირზე და მიიღონ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ხოლო იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ მუშაობაში სერიოზული დარღვევები, გაატარონ სათანადო ზომები.

2. კვების მრეწველობის სამინისტროს სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) სიქმიანი კონტაქტები დაამყარონ განათლების ორგანოებთან და მათ დაქვემდებარებაში მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებთან;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ პედაგოგიური პერსონალის მუშაობა, იზრუნონ მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გადამჭრელი ზომები მიიღონ მუშაობის გასაუმჯობესებლად;

გ) არ დაუშვან ბავშვთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა, ამ მიზნით აღრიცხონ თვით მიკრორაიონში მცხოვრები ბავშვები და შეძლებისდაგვარად ჩააბან სკოლამდელ დაწესებულებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) არ დაუშვან არანორმირებული და ძვირადღირებული პროდუქტების შეძენა; იზრუნონ მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ე) არ დაუშვან ტიპიურ შტატებში დარღვევები; ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის სრულად გამოიყენონ მუსიკის მასწავლებლის შტატი.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის სკოლამდელ დაწესებულებაში მომუშავე 30 გამგე მ/წლის თებერვლის თვეში გადამზადდა განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ერთთვიან კურსებზე.

4. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტების მმართველებმა:

ა) მიიღონ ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; საბავშვო ბაღების სათამაშოებით, სასწავლო ნივთებით, სადილისა და ჩაის ჭურჭლით უზრუნველყოფისათვის;

ბ) უმოკლეს დროში რადიკალურად გააუმჯობესონ ბავშვთა კვების ხარისხი, უზრუნველყონ მათი ნორმირებული პროდუქტებით მომარაგება;

გ) ყურადღება მიაქცევონ შენობების რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებას, ხოლო ის შენობები, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ რემონტს, სასწრაფოდ შეაკეთონ;

დ) იზრუნონ სკოლამდელი დაწესებულებების კონტინგენტით შევსებისათვის, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში საბავშვო ბაღებში ჩარიცხონ ნაწილი იმ ბავშვებისა, რომელთა მშობლები არ მუშაობენ მათ წარმოებაში;

ე) დააყენონ საკითხი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების წინაშე ერთ შენობაში მოთავსებულ ბაგისა და საბავშვო ბაღის ერთ დაწესებულებად—ბაგა-ბაღად გადაკეთების, სკოლამდელ დაწესებულებებში სამედიცინო დახმარებისა და კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), საქართველოს

სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციის, ხელფასის და მუშათა კადრების განყოფილებამ (ამხ. ნ. ფურცელაძე) კონტროლი გაუწიონ ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლებისა და კვების მრეწველობის სამინისტროების კოლეგიების 1972 წლის 24 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების	საქართველოს სსრ კვების
მ ი ნ ი ს ტ რ ი	მრეწველობის მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი	**ა. ხუროძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 4 იანვრის ბრძანება № 41-ა

წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ წულუკიძის და წყალტუბოს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა გააძლიერეს დახმარება და კონტროლი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ მუშაობაზე. რიგ სკოლებში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა საპროგრამო მოთხოვნათა სრული შესაბამისობით ტარდება.

აღნიშნული რაიონების ზოგიერთ სკოლაში სპორტული მოედნების კეთილმოწყობისა და მათი სასწავლო სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული.

წულუკიძის რაიონში აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დარბაზი 30 მ×12 მ-ის ზომით, საშუალო და რვაწლიან სკოლებში გაკეთდა 7 ახალი სპორტული მოედანი.

ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებს ერთგვარი წარმატებები გააჩნიათ სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმეში.

წულუკიძის რაიონის სპორტულმა კოლექტივმა მოსწავლეთა 23-ე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის კალათბურთში ჭაბუკების გუნდით დაიკავა III ადგილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონმა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებს მისცა ფეხბურთსა და კალათბურთში 2 მოსწავლე-სპორტსმენი.

წყალტუბოს რაიონის სპორტულმა კოლექტივმა ამავე 23-ე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის ფეხბურთში დაიკავა IV ადგილი, ხოლო კალათბურთში, როგორც გოგონებმა ასევე ჭაბუკებმა, ზონებში დაიკავეს მეორე ადგილები და რესპუბლიკურ ნაკრებს მისცეს 2 მოსწავლე კალათბურთსა და ფრენბურთში.

განათლების განყოფილებების ინიციატივით თვეში ერთხელ ტარდება ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მეთოდური მეცადინეობა-თათბირი, სადაც იხილავენ ფიზიკური კულტურის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის აქტუალურ საკითხებს.

წულუკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ გასულ სასწავლო წელს 21, ხოლო წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ 18 საშუალო და რვაწლიან სკოლაში შეისწავლეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სწავლების მდგომარეობა. აღნიშნული საკითხები განხილული იქნა სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულია კონკრეტული ღონისძიებები.

ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებს ერთგვარი წარმატებები გააჩნიათ სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმეში.

წულუკიძის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. თევდორაძე, ფიზკულტურის მასწავლებლები—ო. წივწივაძე და მ. უგრეხელიძე), პირველ საშუალო სკოლაში (ქართული სექტორი, დირექტორი კ. ცაცუა, ფიზკულტურის მასწავლებელი—ო. გოგავა), მეორე საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. ქუთათელაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. აბზიანიძე), წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის საშუალო სკოლაში (დირექტორი—კ. მიქაბაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი—მ. ჯანგველაძე), ბროწეულას სკოლა-ინტერნატში (დირექტორი მ. ინასარიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი—ვ. სულაკაძე), ქალაქის III საშუალო სკოლაში (დირექტორი რ. ტყაბლაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. გურეშიძე) სერიოზულად და მონდომებით ეკიდებიან ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეს და სა-

პროგრამო მოთხოვნათა შესაბამისად ატარებენ, როგორც ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს, ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წულუკიძის რაიონის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლაში (დირექტორი მ. ჯაფარიძე) კარკად მუშაობენ მწვრთნელები) თ. შველიძე, ვ. კაკაბაძე, ა. ყუფარაძე (კალათბურთი), ი. ლომიძე (ხელბურთი), ე. კაკაურიძე (ფეხბურთი), ხოლო წყალტუბოს ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლაში (დირექტორი ა. დვალი: მწვრთნელები: კ. ჯიმშელეიშვილი (კლასიკური ჭიდაობა), ომ. სვიჩია (კალათბურთი), ო. დვალი და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებს მუშაობაში გააჩნიათ რიგი სერიოზული ნაკლოვანებები.

წულუკიძის რაიონის 24 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სპორტული დარბაზი აქვს 7 სკოლას, წყალტუბოს რაიონს კი 41 სკოლიდან მხოლოდ 9 სკოლას, რის გამოც სასწავლო პროცესი არასწორად მიმდინარეობს. რაიონების სკოლების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარის მინიმალური რაოდენობითაც კი, ამიტომ ამ სკოლებში საპროგრამო მასალის ათვისება ხდება მხოლოდ ნაწილობრივ.

აღნიშნული რაონების სკოლების უმრავლესობაში ღია სპორტული მოედნები მოუვლელია და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებს საკუთარი სპორტული ბაზები არ გააჩნიათ, რის გამო შეხიზნული არიან პირველ საშუალო სკოლაში, რითაც ხელს უშლიან საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის საგნის სწავლების პროცესს და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ჩატარებას.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების ზოგიერთი სკოლა უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სტატისტიკური ანგარიშების ფორმა № 1 ფკ (№ ომ—7) შევსებასა და განათლების სამინისტროში მის წარმოდგენას, რის გამო კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმულ მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ადგილზე შემოწმების გარეშე გაძნელდა.

აღნიშნული რაიონების სკოლების უმრავლესობაში, მეუხე-
დავად საგნობრივ სწავლებაზე გადასვლისა, ფიზიკურ კულტურაში
IV კლასში ასწავლიან არასპეციალისტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წულუკიძის რაიონის ნახახულევის (ფიზკულტურის მასწავ-
ლებელი დ. ეძგვერაძე), წულუკიძის № 1 (ფიზკულტურის მასწავ-
ლებელი შ. ყუფარაძე), ივანდიდის (ფიზკულტურის მასწავლებელი
ნ. სანოძე) და წყალტუბოს რაიონის რიგ საშუალო სკოლებში
ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს ატარებენ დაბალ დონეზე და
და დისციპლინის დაცვის გარეშე. მოსწავლეთა უმრავლესობამ არ
იცის საპროგრამო მასალა. აღნიშნული სკოლის მასწავლებლები
წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში
არა აქვთ შედგენილი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი. უმეტესად ამ
ამ სკოლებში როგორც მასწავლებლები, ასევე მათი მოსწავლეები
გაკვეთილზე იმყოფებიან სპორტული ფორმის გარეშე, არა აქვთ
კლასგარეშე სპორტული მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციები,
კედლის გაზეთები, ფოტო-სტენდი, სკოლის რეკორდების ცხრილი
და სხვ. დამუშავებული მასალა საკლასო ჟურნალში არ შეაქვთ
სწორად.

წულუკიძის რაიონის კონცუათის რვაწლიან სკოლაში (დი-
რექტორი ნ. კარიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი უ. ლე-
თოდიანი), ჩაის მეურნეობის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი
შ. გეგია, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კაკაბაძე), პატარა ჯი-
ხაიშის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი გ. ცანავა, ფიზკულტუ-
რის მასწავლებელი ს. საღინაძე), ეურის საშ. სკოლაში (დირექ-
ტორი ი. კაკაბაძე), წყალტუბოს რაიონის რუსულ საშუალო სკო-
ლაში (დირექტორი ვ. ტუკვაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი
შ. ბიბილეიშვილი), მუხიანის საშუალო სკოლაში (დირექტორი
შ. ნიშნიანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი—ა. მელაძე), სოფელ
წყალტუბოს საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. კინწურაშვილი,
ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. გუბელაძე), წყალტუბოს რაიონის
პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ფ. ოსელიანი, ფიზკულ-
ტურის მასწავლებელი მ. ზარნაძე) და რიგ სხვა სკოლებში გაი-
ცდიან სასწავლო სპორტული ინვენტარის ნაკლებობას, ზოგიერთ
შემთხვევაში კი სპორტული მოედნები მოგვლელია და ანტისანიტა-
რიულ მდგომარეობაში აქვთ.

ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ს. ჭოლოკავა, ი. მელაძე):

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად შეამოწმონ ამ მიმართებით სკოლების მუშაობა და შედეგები მოისმინონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

ბ) სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს სპორტული ბაზების მშენებლობისა და მათი სასწავლო სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში, ხელი შეუწყონ კლასგარეშე სპორტული მუშაობის გაშლას და მოსწავლეთა შინასასკოლო სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებებისა და სპარტაკიადების ორგანიზებულად და მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებაში;

გ) აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა და მთელი პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმეში;

დ) რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა მოზარდთა სასპორტო სკოლების მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, მიიღონ ზომები მოსწავლეთა სამედიცინო ჯგუფებად დაყოფისა და სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიკუთვნებულ მოსწავლეებთან სამკურნალო ფიზკულტურაში მეცადინეობების ორგანიზაციისათვის.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) გადაჭრით გაუმჯობესონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სპორტული მუშაობა; ყურადღება გაამახვილონ ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობების ჩატარების ხარისხზე; სისტემატური კონტროლი დააწესონ ფიზკულტურის მასწავლებელთა მუშაობაზე, მოითხოვონ მათგან, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები და კლასგარეშე სპორტული მუშაობა ტარდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრული შესაბამისობით;

ბ) აამაღლონ მთელი პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე-ფიზიკურ თოდ გაშალონ სკოლაში კლასგარეშე სპორტული მუშაობა, მეტი რაოდენობით ჩააბან მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სექციებში სამეცადინოდ. სპორტსმენ-თანრიგოსნების, მშთ ნიშიოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების მიზნით, უფრო ხშირად ჩაატარონ შინასასკოლო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ძირითადი ყურადღება დაუთმონ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებულ სასკოლო პროგრამის სახეობებში შიხასასკოლო შეჯიბრებების ჩატარებას;

სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ სტატისტიკური ანგარიშის ფორმა № 1—ფკ (ოშ—7) შედგენასა და განათლების განყოფილებაში მის დადგენილ ვადებში წარდგენას;

გ) ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ნორმალური წარმართვისათვის სრულ წესრიგში მოიყვანონ სასწავლო-სპორტული ბაზები, უზრუნველყონ მათი საჭირო სპორტული ინვენტარით შევსება. დაიცვან სპორტულ ბაზებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

დ) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები.

3. წულუკიძის რაიონის სოფ. ნახახულევის, ივანდიდის და წულუკიძის № 1 საშუალო სკოლების ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს: დ. ეძგერაძეს, ნ. სანოძეს, შ. ყუფარაძეს ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის დაბალ დონეზე წარმართვისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

წულუკიძის რაიონის სოფ. გუბის, სოფ. დედელაურის საშუალო და სოფ. კონცუათის რვაწლიანი სკოლის, ჩაის მეურნეობისა და პატარა ჯიხაიშის რვაწლიანი სკოლების დირექტორებს თ. კაკაბაძეს, ი. კუჭავას, ნ. ჯარიაშვილს, შ. გეგიასა და გ. ცანავას ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად ნორმალური პირობების შეუქმნელობის, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარის ნაკლებობის, სპორტული ბაზების მოუვლელობისა და ანტისანიტარიულ მდგომარეობაში ყოფნისათვის მიეთითოთ.

4. მიღებული იქნეს ცნობად, რომ წყალტუბოს № 1 ქართული, ქალაქის, რუსული და სოფ. ფარცხანაყანევის საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს მიხეილ ზარნაძეს, შოთა

ბიბილეიშვილს და იმელსი ჟორჟოლიანს ფიზკულტურის გაკვეთილების დაბალ დონეზე ჩატარებისათვის წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების მიერ შემოწმების შედეგად გამოცხადათ საყვედური, ხოლო აღნიშნული სკოლების დირექტორებს ვ. ტუტუბაძეს, თ. იოსელიანს და ა. კაკუშაძეს მიეთითათ.

5. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილი) კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

F 3659

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 17 მარტის ბრძანება № 140

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის განათლების განყოფილება და საღამოს (ცვლის) სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ერთკვარ დადებით მუშაობას ატარებენ წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის, მათი სწავლა-აღზრდისა და კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურის—ვ. თუშიშვილი (მე-19 სკოლა), შ. იმნაძე, ფ. ჯიჯეიშვილი (მე-10 სკოლა), ნ. ჩარკვიანი (24-ე სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის—ნ. გაბელაია (მე-10 სკოლა), ლ. წივწივაძე (მე-19 სკოლა), გ. მალაფეევა და ო. შახნაზაროვა (24-ე სკოლა), მათემატიკის—მ. მგალობლიშვილი (მე 10 სკოლა), ი. სოხაძე, ქ. ქსოვრელი (მე-19 სკოლა), ფიზიკის—ვ. კიკნაძე (მე-4 სკოლა) და ე. ხათრიძე (მე-19 სკოლა), ქიმიის—თ. კაკუშაძე (მე-10 სკოლა), ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის—რ. ჯაში, ვ. ჩიქოვანი, ს. ლორთქიფანიძე (მე 4 სკოლა), ალ. კობახიძე, ვ. ბოჭორიშვილი (მე-10 სკოლა), ა. კირილოვი (24-ე სკოლა), შ. უზნაძე (მე-19 სკოლა) და სხვ.

ყველა შესწავლილმა სკოლამ დროულად დაიწყო მუშაობა ახალი სასწავლო პროგრამებით, განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გრაფიკისა და სათანადო მითითებათა შესაბამისად.

აღნიშნულ სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა საღამოს (ცვლის) სკოლის მუშაობის სპეციფიკის შესაბამისად სასწავ-

ლო პროცესის სრულყოფას, მასწავლებელთა პედაგოგიერ-მეთოდურ დახელოვნებას: თითქმის ყველა სკოლასა და საგახში, სადაც მასწავლებელთა საკმაო რაოდენობაა, მუშაობს სასკოლო მ[illegible] გაერთიანება, მასწავლებელთა მეორე ნაწილი კი კვალიფიკაციას იმაღლებს თავის თავზე ინდივიდუალური მუშაობის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით და ორგანიზაციულ მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

არასაკმაო მუშაობა ტარდება წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდების გამოსავლინებლად და სწავლებაში ჩასაბმელად. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელია ხორციელდება საგანგებო ღონისძიება—ამ ტიპის სკოლების მუშაობას სრულიად საკავშირო დათვალიერება, რომელიც ამჟამადაც გრძელდება, დღემდე აღნიშნულ სკოლებს თავიანთ მიკრორაიონში განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებში სათანადო ასაკისა და განათლების მქონე მომუშავე ახალგაზრდობის დაზუსტებული სიებიც კი არა აქვთ. ამიტომ, ბუნებრივია, საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობაც არ არის გაშლილი. გასულ, 1970/1971 სასწავლო წელს რაიონის საღამოს სკოლების 1070 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 289, ე. ი. მათი საერთო რაოდენობის 27,2%.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ძირითადად ის გარემოება, რომ რაიონის საღამოს სკოლებმა მიმდინარე სასწავლო წელს ვერ შეასრულეს კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 სკოლისა, 51 კლასითა და 1306 მოსწავლით, მუშაობს 4 სკოლა, რომელთა 56 კლასში ირიცხება 1003 მოსწავლე, რაც გეგმის 76%-ს შეადგენს. ამასთან, რაიონში აღრიცხულია წარმოებაში დასაქმებული, მაგრამ სწავლებაში ჩაუბმელი 928 ახალგაზრდა.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში: სკოლების წლიური, პედაგოგიური საბჭოების, კლასის ხელმძღვანელთა და საგნობრივ-მეთოდგაერთიანებათა ნახევარწლიური და მასწავლებელთა გაკვეთილების ყოველდღიური სამუშაო გეგმები არაიშვიათად ზოგადი, ტრაფარეტული ხასიათისაა: ყოველთვის კონკრეტულად არა ჩანს ვინ, რა დროში და რა უნდა გააკეთოს; ასე, მაკალითად, თითქმის ყველა სკოლის წლიურ სამუ-

შაო გეგმაში ზოგად ხაზებშია წარმოდგენილი თავი—„საწარმოო-დაწესებულებებთან მუშაობა“. საკმარისია ითქვას, რომ აქ აფერია ნათქვამი სკოლის მუდმივ ხელშემწყობ კომისიასთან ერთად გასატარებელ ღონისძიებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების პედაგოგიური საბჭოების სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, მათში უმთავრესად ან ორგანიზაციული ხასიათის საკითხების, ან მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანგარიშის მოსმენაა დაგეგმილი.

კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური საალმზრდელო გეგმები ზოგჯერ არ ითვალისწინებს კლასის მოსწავლეთა შემადგენლობის სპეციფიკას, მასთან მუშაობის პირობებს, რის გამოც სხვადასხვა კლასის ხელმძღვანელთა გეგმები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთმანეთს.

ადგილი აქვს სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილით გათვალისწინებულ მითითებათა დარღვევის შემთხვევებს; ასე, მაგალითად:

ქ. თბილისის საღამოს 24-ე საშ. სკოლაში (დირექტორი ა. კირილოვი) მიუხედავად იმისა, რომ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სამი მასწავლებელია, არ არის შექმნილი მეთოდგაერთიანება;

საღამოს მე-19 საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. შალიბაშვილი) აღნიშნული წერილის სათანადო მითითების დარღვევით კვლავ არის შექმნილი ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელთა ციკლობრივი მეთოდგაერთიანება;

ისეთ საგნებში, რომლებშიც სკოლაში 3-ზე ნაკლები მასწავლებელია, არ არის შექმნილი სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი.

საღამოს სკოლების ცალკეული საგნების მასწავლებელთათვის არ არის შექმნილი მასწავლებელთა რაიონული მეთოდური სექციები.

გაკვეთილების გეგმები არაიშვიათად, მოუფიქრებლად, ნაუცბათევად იწერება: მათში გამოკვეთილად არა ჩანს გაკვეთილის ძირითადი მომენტები, ზოგჯერ უნობრივად არასწორად და ლოგიკური თვალსაზრისით გაუმართლებლად არის დასმული კითხვები,

აღნიშნული არ არის მეთოდები, ხერხები, რომლებიც გამოიყენება გაკვეთილზე, თვალსაჩინოება და სხვა.

ზოგ შემთხვევაში დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპები: ადგილი აქვს ერთი მხრივ ძნელად ასათვისებელი საგნების, მეორე მხრივ შედარებით უფრო იოლად შესასწავლი საგნების ერთად თავმოყრას, საათების დაწყვილებისა და სხვ. შემთხვევებს.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებისადმი, არ მუშაობს თვით საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების დაუფლებისათვის, ვერ იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას საგნის შესწავლით, რის გამოც სასურველ შედეგებს ვერ აღწევს სწავლებაში.

უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს საგნის სწავლებისადმი ქ. თბილისის მე-4 საღამოს სკოლის (დირექტორი რ. ჯაში) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პ. გურგენიძე. იგი არადამაკმაყოფილებლად ემზადება გაკვეთილისათვის, სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური მოთხოვნების მიხედვით ვერ გეგმავს მას, გარდა ამისა, უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს. გაკვეთილის ჩატარებისას მხედველობიდან რჩება არა მარტო მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები, არამედ თვითონაც უშვებს სხვადასხვა, მათ შორის ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებსაც.

მასწავლებელი პ. გურგენიძე თითქმის უგულებელმყოფელ დამოკიდებულებას იჩენს სასწავლო გეგმებისა და პროგრამებისადმი. საღამოს სკოლის უფროს კლასებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს—ქართულ ენას ის თითქმის არ ასწავლის, რადგანაც არ იცნობს საგნის პროგრამას; და ეს მაშინ, როცა პარალელური კლასების მასწავლებელი ამ საგნის პროგრამასაც იცნობს და კიდეც ასწავლის; აღნიშნული მასწავლებელი ისე აცნობს კლასს ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ მოსწავლეებს სრულიად არა აქვთ წარმოდგენა იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე, რომელშიც მოღვაწეობდა იგი; ასე მაგალითად, VI კლასში არ არის შესწავლილი თემები: „1890—1900-იანი წლების მიმოხილვა“, „1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის პერიოდის მხატვრული ლიტე-

რატურის დახასიათება და „საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები და ძირითადი ნიშნები“. ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი IX—XI კლასებშიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა მე-19 და 24-ე სკოლის რუსულ სექტორზე; ცალკეულ კლასებში შეინიშნება დიდი სიჭრელე მოსწავლეთა მომზადებაში, რის გამოც საჭირო ხდება ფაქტიურად ორ და სამ კლასთან ერთდროულად მუშაობის მეთოდებითა და ხერხებით ხელმძღვანელობა, მაგრამ მასწავლებლები ამ მეთოდიკას არ იცნობენ.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა ქ. თბილისის მე-4 საღამოს სკოლაში (მასწავლებელი ლ. ხაჩიძე). რუსული ენის სწავლება დაყვანილია გრამატიკული წესებისა და განსაზღვრებათა დაზეპირებამდე. ნაკლები ყურადღება ექცევა ცოცხალი სასაუბრო ენის შესწავლას, გრამატიკულ სავარჯიშოებს, სალექსიკონო მუშაობას და სხვ. თვით მასწავლებელი ლ. ხაჩიძე თავისუფლად ვერ ფლობს რუსულ ენას, ამიტომ მოსწავლის შეცდომით დაწერილ წინადადებებსა და სიტყვებს ვერ ამჩნევს;

საღამოს მე-4 საშუალო სკოლის ქართული სექტორის VII კლასში რუსულ ენას ასწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ბოლქვაძე. იგი ვერ ფლობს საკანს. საკლასო ჟურნალშიც კი შეცდომით შეაქვს შესწავლილი მასალა.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მათემატიკის სწავლებაში ქ. თბილისის 24-ე და მე-4 საღამოს სკოლებში. 24-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ე. სანაკოევი მოსწავლეებს არ აძლევს საშინაო დავალებებს, ვერ უზრუნველყოფს გაკვეთილზე მოსწავლეთა კოლექტივის ჩაბმას მუშაობაში, ვერ გადასცემს მასალას გასაგებად, მოსწავლეთათვის მისაწვდომად, არ იცავს საკონტროლო წერების სახეებსა და რაოდენობას: შეუმჩნეველი რჩება მოსწავლეთა ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები.

მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება საღამოს მე-4 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებლის რ. გიგოლაშვილის მუშაობაც: იგი არადამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, მხედველობიდან რჩება მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები. მასალის ახსნისას ყურადღებას არ აქცევს მთავარ საკითხებს. VIII კლასში ახსნილი ახალი მასალის—დაყვანილი კვადრატული განტოლების ფესვების საპოვნი ფორმულის—

გამოკითხვისას მასწავლებელს ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, თუ აქვს განტოლებას ერთი ან ორი ფესვი და როდის არა აქვს საერთოდ ფესვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული რაიონის საღამოს სკოლებში სათანადო პირობები არ არის შექმნილი ფიზიკის სწავლებისათვის. კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ფართობი, ყოველთვის შეუფერხებლად არ ხერხდება მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სარგებლობა: თვით საღამოს სკოლებშიც კი საკმაო რაოდენობით არა აქვთ ხელსაწყო-იარაღები, ტაბულები, სქემები, კინოფილმები. სკოლები წლების მანძილზე არ იძენენ ხელსაწყო-იარაღებს და დიდაქტიკურ მასალებს; მე-19 საღამოს სკოლაში ისედაც არასაკმაო მოწყობილობა წესრიგში არ არის მოყვანილი.

არც ერთ ზემოხსენებულ სკოლაში არ ტარდება სასკოლო ექსპერიმენტი, ლაბორატორიული სამუშაოები, სადემონსტრაციო ცდები კი იშვიათია.

გარკვეული ნაკლოვანებანი აქვს საგნის სწავლებაში ქ. თბილისის მე-4 საღამოს სკოლის ქიმიის მასწავლებელს მ. ნადარეიშვილს.

XI კლასი ქიმიაში ამჟღავნებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის არადამაკმაყოფილებელ ცოდნას. ანალოგიური მდგომარეობაა VIII კლასშიც.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის 24-ე საღამოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ლ. მახვილაძე. იგი ანგარიშს არ უწევს მოსწავლეთა მიერ წინა მასალის ათვისების მდგომარეობას და ისე ხსნის ახალ მასალას.

შემოწმების დღისათვის IX კლასში მან ახსნა „რუსეთის სოფლის მეურნეობა იმპერიალიზმის პერიოდში", მაგრამ, ისე, რომ არ შეხებია ამ თემის არც ერთ ძირითად საკითხს. მან მხოლოდ ბატონყმობისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და მანუფაქტურაზე მოუთხრო კლასს, რაც VIII კლასის პროგრამით ისწავლება. სრულიად არაფერი უთქვამს ფეოდალიზმის გადმონაშთებზე. დაბალია მოსწავლეთა მომზადება: მათ არც წინა მასალა („რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა") იცოდნენ და ვერც ახსნილი მასალის ირგვლივ დასმულ კითხვებზე უპასუხეს. მასწავლებელი ლ. მახვილაძე თვითნებურად სტოვებს შეუსწავლელად პროგრამით გათვალისწინებულ თემებს: ასე მაგალითად, ახალი ისტორიის მეორე

ნაწილიდან არ უსწავლებია მე-6, მე-7, მე-11 და მე-15 თემები.

ნაკლოვანებანი ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში ერთგვარად გამოწვეულია იმითაც, რომ სუსტია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. რაიონის ოთხი საღამოს სკოლიდან საკუთარი (და ისიც შეკუებული) შენობა აქვს მხოლოდ ერთს— მე-19 საღამოს სკოლას. მაგრამ იგიც შევიწროებულია: წლების განმავლობაში შენობის ორი ოთახი უჭირავს სკოლის ყოფილ დირექტორს.

მე-4 საღამოს სკოლის VII—IX კლასები მუშაობენ მასობრივი სკოლის I—IV კლასების ოთახებში. რაც დიდად უშლის ხელს ნორმალურ მუშაობას. ამავე სკოლას არა აქვს ოთახი ბიბლიოთეკისათვის და მისი წიგნადი ფონდი (სულ 2.000 წიგნი) ფაქტიურად გამოუყენებელია.

საღამოს (ცვლის) სკოლებში შეუფერხებლად ვერ სარგებლობენ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვს მე-4 საღამოს სკოლას.

მოსწავლეთა უმრავლესობა არ ატარებს სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს, თუმცა დედაქალაქის წიგნის მაღაზიებში ამჟამადაც იყიდება ბევრი საჭირო სასკოლო სახელმძღვანელო.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო კავშირს ახორციელებენ თავიანთ მიკრორაიონში განლაგებულ საწარმოო-დაწესებულებებთან, მათ კომკავშირულ და და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამ მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლების მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები. ეს გარემოებანიც ხდება იმის მიზეზი, რომ სკოლებში ხშირია სასწავლო მეცადინეობაზე მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადების ან სრულიად გამოუცხადებლობის შემთხვევები.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო დაბალია მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადების დონე ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში.

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი პირველი მაისის სახ. რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში იმითაც არის გამოწვეული, რომ ერთის მხრივ, სკოლები დაგვიანებით იღებენ ან სრულებით არ იღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გაგზავნილ სახელმძღვანელო მასალებს (დებულებებს, ინსტრუქციებს, მითითებებს,

მეთოდურ წერილებს და სხვა), მეორე მხრივ, სკოლების დირექ-
ტორები ა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათ
მოადგილეთა მიერ არასაკმაო კონტროლი და ხელმძღვანელობა
ეწევა დღევანდელ ეტაპზე საღამოს სკოლის წინაშე დასახული
ამოცანების შესრულებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის 1-ლი მაისის სახელობის რაიონის განათლე-
ბის განყოფილებამ (ამხ. უ. რუხაძე):

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს კონტროლი, დახმარება და ხელ-
მძღვანელობა რაიონის საღამოს სკოლებისადმი; მომავალი სასწავ-
ლო წლიდან შექმნას სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი
და რაიონული მეთოდური სექციები ცალკეული საგნების მასწავ-
ლებელთათვის.

მტკიცე, საქმიანი კავშირი დაამყაროს ამ მიზნით, ერთი
მხრივ, სკოლებთან, მეორე მხრივ, კი საწარმოო დაწესებულებე-
ბის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაცი-
ებთან;

ბ) გაატაროს ღონისძიებანი რაიონის საღამოს სკოლების სა-
სწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. მიაღწიოს მე-19
საღამოს სკოლის შენობაში კერძო მობინადრის მიერ დაკავებული
ოთახების განთავისუფლებას; დაეხმაროს მეოთხე საღამოს სკოლას
ქ. თბილისის მე-18 (დღის) საშუალო სკოლის სასწავლო-მატერია-
ლური ბაზის შეუფერხებლად გამოყენებაში;

გ) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სახელმძღვანელოებითა
და სასწავლო ნივთებით საღამოს სკოლების უზრუნველსაყოფად;

დ) მიიღოს ზომები საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-
როდან მიღებული სახელმძღვანელო მასალების საღამოს სკოლები-
სათვის დროულად დასაგზავნად და მათში მიცემულ მითითებათა
შესასრულებლად. მომავალში არ დაუშვას დღემდე გამეფებული
უყურადღებო დამოკიდებულება ამ საქმისადმი.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა
მოადგილეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სკოლების
აღმზრდელობით მუშაობაზე. პერიოდულად შეისწავლონ ცალკეუ-
ლი საგნების მასწავლებელთა მუშაობა და გაატარონ ღონისძიე-
ბანი, შემჩნეულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მოწინავე პე-
დაგოგიური გამოცდილების განზოგადებისათვის;

ბ) მიაღწიონ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებიდან შეუფერხებლად გამოყენებას და საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზის წესრიგში მოყვანას, მის განმტკიცება-გაფართოებას;

გ) შემოქმედებითად დაგეგმონ სასკოლო მუშაობა, ამ მიზნით წინასწარ კარგად გაითვალისწინონ თვით მთელი სკოლის, მისი ყოველი კლასისა და საგნის მასწავლებლის მუშაობის სპეციფიკური პირობები; მომავალში არ დაუშვან ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი ტრაფარეტული მიდგომა;

დ) სისტემატური დახმარება გაუწიონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს. აამაღლონ მათი მომზადების დონე;

ე) ენერგიული ზომები მიიღონ მათ მიკრორაიონში განლაგებულ საწარმოო-დაწესებულებებში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების გამოსავლინებლად და სწავლაში ჩასაბმელად, სწავლებაში ჩაბმული ახალგაზრდების შესანარჩუნებლად და მომავალი წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად.

3. ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებლებმა სისტემატურად იზრუნონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით მეტი ყურადღება მიაქციონ საგნის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურაზე მუშაობას და პრაქტიკულ მუშაობაში მათ გამოყენებას.

4. საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ქ. თბილისის მე-4 საღამოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს პ. გურგენიძეს და 24-ე საღამოს სკოლის ისტორიის მასწავლებელს ლ. მახვილაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო ქ. თბილისის მე-4 საღამოს საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ხაჩიძეს, 24-ე და მე-4 საღამოს სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს ვ. სანაკოევსა და რ. გიგოლაშვილს მიეთითოთ.

6. ქ. თბილისის მე 4 საღამოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. ბოლქვაძეს, როგორც საგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასპეციალისტს. მომავალი სასწავლო წლიდან ჩაეროერთვას ტუ-
სული ენის საათები.

7. ქ. თბილისის მე-19 საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლის დირექტორს ჯ. შალიბაშვილს სკოლის სასწავ-
ლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელ-
მძღვანელობის გამო მიეთითოს.

8. მე-4 და 24-ე საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების დირექტორები რ. ჯაში და ა. კირილოვი, რომლებიც
მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წელს მუშაობენ ამ თანამდებობაზე,
სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმა-
ყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო გაფრთხილებულ იქ ე.

9. მიღებულ იქნეს ცნობად 1 მაისის სახ. რაიონის განათლე-
ბის განყოფილების გამკის ამხ. უ. რუხაძის გაცხადება იმის შე-
სახებ, რომ საღამოს სკოლების მუშაობის საკითხის განხილვა და-
გეგმილია რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიმდინარე
სასწავლო წლის დასასრულისათვის.

10. ეს ბრძანება საჭირო ღონისძიებათა გატარების მიზნით
დაეგზავნოთ ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის
განათლების განყოფილებას და შესწავლილ სკოლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1972 წლის 16 მარტის დადგენი-
ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 17 მარტის ბრძანება № 141

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მოზარდი თაობის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, მუქთახორობისადმი, ცხოვრების წესების დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდის მიზნით.

განათლების ორგანოების მიერ მიღებული ზომების შედეგად სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამართლებრივი საკითხების სწავლება. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა დახმარებით მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის საბჭოთა კანონმდებლობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე სისტემატურად ტარდება ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხების საღამოები. მომზადდა და დაისტამბა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის პროგრამა, რომლის მიხედვით ამ კურსის სწავლება დაინერგა რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. გაუმჯობესდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე მოვლინებულ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა იურიდიული ცოდნის ამაღლების საქმე.

განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო ტელეგადაცემათა სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ინიციატივითა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დახმარებით, საქართველოს ტელევიზიის სასწავლო პროგრამებით რეგულარულად ეწყობა გადაცემები სამართლებრივი აღზრდის მნიშვნელოვან საკითხებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება, რაზედაც ისაუბრეს ტიც მიუთითებს, რომ რესპუბლიკაში ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისა და დანაშაულებრივ ქმედებათა არც თუ იშვიათ შემთხვევებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 თებერვლის № 6/42 დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეისწავლონ და კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის;

ბ) მიიღონ ზომები მომავალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეთა შორის საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის გავრცელებისათვის და იმ პედაგოგებისა და იურისტების შესარჩევად და მოსამზადებლად, რომელთაც ახალი სასწავლო წლიდან დაეკისრებათ ამ კურსის წავლება.

შერჩეულ მასწავლებელთა და იურისტთა სიები სათანადო მონაცემებით გადმოუგზავნონ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას მიმდინარე წლის 25 ივნისამდე;

გ) იუსტიციის ორგანოებთან ერთად სკოლებში სისტემატურად ჩაატარონ ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხების საღამოები საბჭოთა კანონმდებლობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დახმარებით მიმდინარე წლის აგვისტოში მოაწყოს 10 დღიანი კურსები ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და განათლების განყოფილებების მიერ შერჩეული პედაგოგებისა და

იურისტებისათვის, რომლებსაც ახალი სასწავლო წლიდან დაეგვალებათ საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სწავლება.

3. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შესახებ; განაზოგადონ იმ პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ზრდიან მოზარდ თაობას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ცხოვრების წესების დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკალოს სკოლების სამმართველოსა (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) და კადრების განყოფილებას (ამხ. ი. კვაჭაძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 17 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 22 მარტის ბრძანება № 170

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში, დუშეთის, დმანისისა და ონის რაიონებში სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ცალკეული რაიონების ზოგიერთ სასკოლო ინტერნატში დამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება; სათანადო ყურადღება ექცევა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ბავშვებისათვის ცხოვრების, სწავლებისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნას.

ჯავის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატს (დირექტორი ე. ცხოვრებოვი) აქვს კარგი მატერიალური ბაზა, უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მოგვარებულია აღსაზრდელთა კვების საქმე. აღმზრდელები პედაგოგებთან ერთად სერიოზულ მუშაობას ატარებენ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ასამაღლებლად. დამაკმაყოფილებლად მუშაობს დუშეთის რაიონის ქვეშეთის რვაწლიან სკოლასთან არსებული ინტერნატი (დირექტორი რ. ბურდული), სადაც ბავშვებს კვებავენ სკოლის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

ამავე დროს, შემოწმების შედეგად სასკოლო ინტერნატების მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები.

ცხინვალის რაიონის ქსუისის (დირექტორი ვ. ალბუროვი) საშუალო სკოლასთან არსებულ სასკოლო ინტერნატს შეფორგანიზაციამ გადასცა 16 ოთახიანი ორსართულიანი შენობა, მაგრამ იგი დღემდე გამოუყენებელია; აგდილი აქვს უსუფთაობას, არა აქვთ ინვენტარი, მოუგვარებელია გათბობა და აღსაზრდელთა კვების საქმე. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის (დირექტორი ს. კაჯაევი), დიდი დმანისის

(დირექტორი თ. მანთაშაშვილი) და ონის რაიონის კვაშხიერთის (დირექტორი ჯ. ბერიშვილი) საშუალო სკოლების ინტერნატებში.

ლენინგორის ქართულ და რუსულ (დირექტორები ო. [illegible] შვილი და რ. მაისურაძე) საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატის შენობებში მოთავსებულია პიონერთა სახლი და მოწყობილია სამხედრო კაბინეტი, რის გამოც ინტერნატს ფართობი არ ჰყოფნის.

დმანისის რაიონის ზემო ოროზმანის (დირექტორი ჯ. მუსაევი), ამამლოს (დირექტორი გ. გულმამედოვი), დმანისის (დირექტორი (ნ. ლეონოვი), დუშეთის რაიონის ფასანაურის (დირექტორი ნ. ჭავჭანიძე) საშუალო და ჭარფლის რვაწლიანი (დირექტორი ვ. გუდაშვილი) სკოლების სასკოლო ინტერნატები დაქირავებულ და შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. ადგილი აქვს უსუფთაობას, მოუგვარებელია აღსაზრდელთა კვება; ვინაიდან ოთახები სხვადასხვა ადგილას არის დაქირავებული, აღმზრდელი მასწავლებლები მოკლებული არიან საშუალებას სათანადო დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს საშინაო დავალების მომზადების დროს. ამის შედეგად ინტერნატში მცხოვრები 29 მოსწავლიდან პირველ მეოთხედში ვერ ასწრებდა 10 მოსწავლე, ხოლო ამამლოს ინტერნატში—12 მოსწავლიდან—5.

ავარიულ მდგომარეობაშია ზნაურის საშუალო სკოლის (დირექტორი ფ. ფუხაევი) სასკოლო ინტერნატის შენობა, სადაც სამ პატარა ოთახში, მეტად დიდ სივიწროვეში ცხოვრობს 18 მოსწავლე, ანტისანიტარული მდგომარეობაა სამზარეულოსა და სასადილოში, რომლებიც ერთ ოთახშია მოთავსებული.

შემოწმებული სასკოლო ინტერნატების დიდ უმრავლესობაში მოუგვარებელია აღსაზრდელთა კვების საქმე. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა შეფი ორგანიზაციები თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევენ აღსაზრდელებს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეში. ამავე დროს ცეკავშირი სუსტად ამარაგებს მათ ნორმით გათვალისწინებული საკვები პროდუქტებით. ასე, მაგალითად, ლენინგორის რაიონის სასკოლო ინტერნატებს მიმდინარე სასწავლო წელს არ მიუღია რძე და რძის ნაწარმი, ხორცი და ბოსტნეული, რის გამო ბავშვებს ერთფეროვანი კერძები ეძლევათ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ზნაურის რაიონში. შემოწმებულ სასკოლო ინტერ-

ნატებში აღსაზრდელთა კვებისათვის 62 კაპიკი იხარჯება, ნაცვლად 93 კაპიკისა; შემოწმების დღემდე სკოლებს ამ საგანზე არ ჰქონდათ მიღებული სათანადო მითითება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუგვარებელია შტატის საკითხი; შემოწმებულ სასკოლო ინტერნატებში არა ჰყავთ ღამის ძიძა და დარაჯი, ხოლო ზოგან მრეცხავ-დამლაგებელი. სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე აღმზრდელ-მასწავლებელთა შერჩევას: ასე, მაგალითად, დუშეთის რაიონის მლეთის საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის გამგე ს. ბურდული განათლებით იურისტია, დიდი დმანისის საშუალო სკოლის ინტერნატის აღმზრდელს ლ. ქოჩაროვს საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული, საშუალო პედაგოგიური განათლებითთა არიანდუშეთის რ-ნის ანანურისა და დმანისის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატების აღმზრდელები.

მოუგვარებელია აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, არ წარმოებს მათი სამედიცინო შემოწმება; არ გააჩნიათ პირველი დახმარების მედიკამენტები და სხვა.

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, დუშეთის, დმანისისა და ონის რაიონების განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სასკოლო ინტერნატებს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის. თუმცა სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებას გასულ სასწავლო წელს სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი გაუხილავს საბჭოს სხდომაზე, ხოლო დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს, მაგრამ მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, დუშეთის, დმანისის და ონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ინტერნატების მუშაობისადმი, დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და მათი დახმარებით აღსაზრდელებს შეუქმნან ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური პირობები;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. აღმზრდელებად შეარჩიონ სათანადო განათლებისა და

გამოცდილების მქონე პირები და სამუშაოდან გაათავისუფლონ არასპეციალისტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიღწიონ იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელებმა სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა აწარმოონ დებულების შესაბამისად და წესრიგში იქონიონ საქმის წარმოება;

დ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სასკოლო ინტერნატების განმტკიცებისათვის და ამ საქმეში აქტიურად ჩაებან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საშეფო ორგანიზაციები, შეუფერებელი ნაგებობის ნაცვლად დაიქირაონ უფრო კეთილმოწყობილი ბინები;

ე) გამოიჩინონ ზედამხედველობა და დახმარება იმ სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელებისადმი, რომლებიც დაქირავებულ და ერთმანეთისაგან დაცილებულ ოთახებში ცხოვრობენ;

ვ) შეცვალონ ხმარებიდან გამოსული მაგარი და რბილი ინვენტარი და მტკიცე კონტროლი დააწესონ მის მოვლა-პატრონობაზე;

ზ) მკვეთრად გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; უზრუნველყონ ისინი პირველი დახმარების მედიკამენტებით, ხოლო თითოეული აღსაზრდელი პირადი ჰიგიენის ნივთებით, ამასთან ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების დახმარებით სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინონ აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება;

თ) დაიყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე, რათა სასკოლო ინტერნატები სავაჭრო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მიერ შეუფერხებლად მარაგდებოდნენ ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით. აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებისათვის ფართოდ გამოიყენონ აგრეთვე სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე ძიღებული პროდუქტები;

ი) სისტემატურად შეამოწმონ და ოლქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა საბჭოების მსჯელობის საგნად აქციონ სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი;

კ) სათანადო ღონისძიებების და ახვისა და ბუშაობის რადიკალურად გარდაქმნის მიზნით აღნიშნული ბრძანება გაიხილონ იმ სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, რომლებთანაც არსებობენ სასკოლო ინტერნატები;

2. სკოლის დირექტორებმა ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი გაუწიონ სასკოლო ინტერნატებს, და მიაღწიონ იმას, რომ აღსაზრდელებს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები ექნებოდეთ ინტერნატში.

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით გადაამუშაოს სასკოლო ინტერნატების ტიპიური შტატები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

4 განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) გადაჭრით გაუმჯობესოს სასკოლო ინტერნატების რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგების საქმე.

5. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) მტკიცე კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შედეგები მოახსენოს კოლეგიას

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 23 მარტის ბრძანება № 171

1970—1971 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ სკოლების ერთ ნაწილში თანდათან უმჯობესდება სწავლა-აღზრდის საქმე; მრავალი სკოლა უნარიანად იყენებს თვალსაჩინოებას, ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ მუშაობას, ნერგავს ახალ ტექნიკურ საშუალებებს სწავლებაში, აღწევს მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლების დირექციებმა გააძლიერეს კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი, გაატარეს ზომები ფორმალიზმის აღმოფხვრისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის დაძლევის საქმეში.

ამის შედეგად, 1970/71 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, განსაკუთრებით ოქროს მედლითა და სიგელით დაჯილდოებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების უფრო კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა წლებში.

წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1970/71 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 6780 კურსდამთავრებული, მათ შორის 94 მედალოსანმა „5“ ზე ჩააბარა მაპროფილებელი საგნები, ხოლო 83 ჩაირიცხა კონკურსის შედეგად.

კარგი წარმატება გამოიჩინეს ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ვ. მელაძე), 42-ე (დირექტორი ო. ღაღანიძე), 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე), 23-ე (დ რექტორი გ. კუტუბიძე), 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე), 53-ე (დირექტორი ლ. მარგველაშვილი), 66-ე (დირექტორი მ. მახარაძე),

ქ. ქუთაისის 1 ლი (დირექტორი ჯ. საკანდელიძ), მე-3 (დირექ-ტორი თ. დახუნდარიძე), მე 9 (დირექტორი დ. ბრეგვაძე), ქ. ზუ-გდიდის 1-ლი (დირექტორი შ. ხუბულავა), მე-2 (დირექტორი გ. ჩხოლარია), ქ. ჭიათურის მე-2 (დირექტორი ს. კაპანაძე), ქ. თე-ლავის 1-ლი (დირექტორი გ. როსტომაშვილი), ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის (დირექტორი ა. ბახტურიძე) და სხვა სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯეროვნად მომზადებას დაწესებული პროგრამის ფარგლებში. ასე, მაგალითად, არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე შემდეგი სკოლების ხუთოსანმა კურსდამთავრებულებმა:

ა) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში: ქ. თბილისის 119-ე (დირექტორი ლ. ასატუროვი, მასწ. ლ. ტორონჯაძე), 45-ე (დირექტორი ვ. სენოჟენსკაია, მასწ. გ. ფანიევა), წალკის რაიონის ლივალის (დირექტორი ვ. დემუროვი, მასწ. გ. იორბალიდი), დმანისის რაიონის გომარეთის (დირექტორი ვ. შუჯირიშვილი, მასწ. მ. გასიევა), ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის (დირექტორი ვ. ლობჟანიძე, მასწ. შ. შეყლაშვილი), ხობის 1-ლი (დირექტორი ალ. ბერაია, მასწ. შ. ვილანდია), კასპის რაიონის ოკამის (დირექ-ტორი გ. თათარაშვილი, მასწ. რ. ვახოშვილი), თეთრიწყაროს რაიონის ერტისის (დირექტორი გ. მანთაშაშვილი), ყაზბეგის რაიონის სნოს (დირექტორი შ. გუდიაშვილი, მასწ. წ. მარსაგი-შვილი), ზესტაფონის რაიონის ბოსლევის (დირექტორი დ. ბედია-ნიძე, მასწ. მ. მახათაძე);

ბ) მათემატიკაში: ქ. რუსთავის მე-15 (დირექტორი ლ. ლორ-თქიფანიძე, მასწ. თ. იაგანაშვილი), ლანჩხუთის მე-2 (მასწ. გ. და-თიაშვილი), გალის რაიონის ოტობაიის 1-ლი (დირექტორი და მასწ. ა. ელიავა), ლენინგორის რაიონის ლარგვისის (დირექტორი ვ. დურგლიშვილი, მასწ. ზ. ხუციშვილი), აბაშის რაიონის პირველი მაისის (დირექტორი პ. ჯანჯღავა, მასწ. გ. ჯავახიშვილი), აბაშის მე-2 (დირექტორი გ. ქოიავა), მესტიის მე-2 (დირექტორი ისლამ ჩართოლანი, მასწ. იზოლდა ჩართოლანი), კასპის 1-ლი (დირექტო-რი დ. ხუსკივაძე მასწ. გ. გახელაძე), მეტეხის (დირექტორი ა. ნა-

ცვლიშვილი), ქვემო ჭალის (დირექტორი მ. სიგუა, მასწ. ქ. გეთა-შვილი), ხობის რაიონის ქვალონის (დირექტორი ც. დალაქიშვილი, მასწ. ს. ალანია), თერჯოლის (ყოფილი დირექტორი კ. გიორგაძე, მასწ. ო. შეყილაძე), ზედა საზანოს (დირექტორი ა. ჯაფარიძე, მასწ. თ. ვარდოსანიძე), ქარელის რაიონის ავლევის (დირექტორი გ. ჯახველიძე, მასწ. გ. ჭიჭიკოშვილი), ვანის კიროვის სახელობის (დირექტორი მ. მესხი, მასწავლებელი დ. ბელთაძე), ქ. რუსთავის მე-10 (დირექტორი დ. ჩაგანავა, მასწ. გ. მერკვილაძე), სურამის 1-ლი (დირექტორი ა. ტაბიძე, მასწ. ნ. ლაცაბიძე), ზნაურის (დირექტორი ც. გუზმაზოვი, მასწ. ჯ. ოსიტაშვილი), წალკის რაიონის ბაშკოვის (დირექტორი ა. იოანიდი, მასწ. ა. კარიბოვი), ზესტაფონის მე-3 (დირექტორი ს. ჭუმბურიძე, მასწ. გ. ჭელიძე), 1-ლი (დირექტორი ზ. კვიხიკაძე), ორჯონიკიძის რაიონის წიფის (დირექტორი ზ. გუდაძე), ხაშურის რაიონის გომის (დირექტორი გ. ნოზაძე, მასწ. ც. ჯაფარიშვილი), ადიგენის რაიონის აბასთუმნის (დირექტორი გ. ტერკაზარიანი)

გ) ქიმიაში: გურჯაანის რაიონის ვეჯინის (დირექტორი შ. გაბიტაშვილი, მასწ. ე. ზარდიაშვილი), ონის რაიონის ღების (დირექტორი ს. გაკაშელი, მასწ. თ. ლობჟანიძე), ლენტეხის (დირექტორი პ. ხვისტანი, მასწ. ნ. ლიპარტელიანი), თერჯოლის (მასწავლებელი შ. მაკარიძე)

დ) ბიოლოგიაში: გურჯაანის რაიონის ველისციხის (დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწ. ქ. მიჭიჩაშვილი), წალკის რაიონის ბეშთაშენის (დირექტორი დ. გაშიბაიაზოვი, მასწ. პ. კარიოვი).

ე) ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში: ადიგენის (ყოფილი დირექტორი და მასწავლებელი დ. მიქაბერიძე), ხაშურის რაიონის გომის (დირექტორი და მასწავლებელი გ. ნოზაძე), ტეზერის (ყოფილი დირექტორი და მასწავლებელი მ. ლონლაძე), ასპინძის რაიონის ტოლოშს (დირექტორი და მასწავლებელი პ. წინწყალაძე), ვანის რაიონის ტობანიერის (დირექტორი ი. უღრელიძე, მასწ. დ. მაფაროშვილი), ხაშურის მე-2 (დირექტორი დ. კაკიაშვილი, მასწ. გ. ლალუაშვილი).

მისაღებ გამოცდებზე კურსდამთავრებულთა ნაშრომებში გამოვლენებულ ხარვეზთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—წერის ჩვევების უკმარისობა, ცნობილი ლიტერატურული ძეგლების შინაარსის არცოდნა, ლიტერატურული ნაწარმოების დედა აზრსა და დანიშნულე-

ბაში გაურკვევლობა, ტრაფარეტულობა, გაანალიზების ხერხების არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკაში— წესების ზეპირობა, ამოცანების და მაგალითები', განსაკუთრებით მაჩვენებლიანი, ლოგარითმული განტოლებების, უტოლობების ამოხსნის ხერხების გარდაქმნების აკვადრატული განტოლების შედგენის არცოდნა.

ქიმიაში—პერიოდულობის კანონისა და ელემენტთა პერიოდული სისტემის, ელემენტების ჩამოყალიბების კანონზომიერებების, ქიმიური ნაერთებისა და კრისტალების, წარმოებაში ქიმიის მეცნიერებათა კანონზომიერებების გამოყენების, რეაქციათა ტოლობების, ამოცანების ამოხსნის არასაკმარისი ცოდნა.

ბიოლოგიაში — ბიოლოგიის მეცნიერებათა მონაპოვრების ცხოვრებაში გამოყენების, გენეტიკური თეორიის, სელექციის, ევოლუციის არსის არ ცოდნა.

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში — ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა, ფორმაციების ცვლის კანონთა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ სკოლაში შესუსტებულია კონტროლი მასწავლებლის მუშაობისადმი, წერება გაუმართლებელი მაღალი ნიშნები მაშინ, როცა მოწავლეებს პროგრამული მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვთ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო კურსდამთავრებულთა საგრძნობმა რაოდენობამ, მათ შორის ქ. თბილისის მე-14 სკოლიდან (დირექტორი გ. ცქიტიშვილი, მასწავლებლები შ. კორძაძე, ს. ხოჯაშვილი)—13-მა; მე-10 სკოლიდან (დირექტორი ს. მორჩილაძე, მასწავლებლები ნ. გვარჯალაძე, ა. ხარატიშვილი)—14-მა; მე-12 სკოლიდან (ყოფილი დირექტორი გ. ჩეჩელაშვილი, მასწ. მ. ფაჩუაშვილი)—12-მა; 114-ე სკოლიდან (დირექტორი ი. შენგელია, მასწ. ი. შავშეიშვილი)—11-მა 118-ე სკოლიდან (დირექტორი ი. ბერაძე, მასწ. ნ. ბადაგულოვა)—8-მ; მე-100 სკოლიდან (დირექტორი გ. ჯინჭარაძე, მასწ. მ. ოვნაძე)—8-ჰ; 139-ე სკოლიდან (დირექტორი ჯ. იაკობაშვილი, მასწავლებლები ც. ჩოდრიშვილი და მ. შოთაძე)—9-მ; 85-ე სკოლიდან (დირექტორი კ. შარაშიძე, მასწავლებელი ლ. დოლიძე)—12-მა;

87-ე სკოლიდან (ყოფილი დირექტორი მ. სვანიძე, მასწავლებელი ი. მასხულია)—7-მა; ქ. რუსთავის მე-18 სკოლიდან (დირექტორი ბ. გოგუა, მასწავლებლები ბ. ფარჯანაძე და ი. წიკლაური)—ორ-ორმა; მე-10 სკოლიდან (დირექტორი დ. ჩაგანავა, მასწ. გ. მერკვილაძე) —8-მ; მე-15 სკოლიდან (დირექტორი ლ. ლორთქიფანიძე, მასწ. ქ. იაგანაშვილი) 11-მა; მე-17 სკოლიდან (დირექტორი ვ. თუშურაშვილი, მასწავლებლები (ი. დენიაკინა და ნ. გველესიანი)—7-მა; ქარელის რაიონის აბისის სკოლიდან (დირექტორი გ. ოსაძე, მასწ. გ. ბერუაშვილი)—5-მა; ჩოროწყუს რაიონის ლესიჭინეს სკოლიდან (დირექტორი ვ. ხორავა, მასწ. ი. გოგინავა) 5-მა; თეთრი წყაროს რაიონის კოდის სკოლიდან (დირექტორი შ. გელაშვილი, მასწ. თ. ავრობაშვილი)—6-მა; ქ. ონის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ნ. კერესელიძე, მასწ. ვ. ისაკაძე)—7-მა; ორჯონიკიძის რაიონის ლაშის სკოლიდან (დირექტორი პ. კვინიკაძე, მასწ. ნ. ჭიპაშვილი)—6-მა; ჩოხატაურის რაიონის კოხნარის სკოლიდან (დირექტორი გ. ჩიგოგიძე, მასწ. ე. ანდღულაძე)—5-მა; ლ. გოდეხის რაიონის ვარდისუბნის სკოლიდან (დირექტორი ა. ჩხეიძე, მასწ. ც. ხარაიშვილი)—6-მა და ა. შ.

მიუხედავად მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ლიბერალიზმის და სიყალბის წინააღმდეგ უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებებისა, ზოგან გამოვლინებული იქნა წლიური და საბოლოო ნიშნების არასწორად გამოყვანის ფაქტებიც: თეთრი წყაროს რაიონის ერტისის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. მანთაშაშვილი, მასწავლებელი რ. ზაკუტოვი) მოსწავლეს, რომელმაც გამოსაშვებ გამოცდაზე მშობლიურ ლიტერატურაში (წერა) შეფასება „4“ დაიმსახურა, საბოლოო ნიშნად ამ საგანში გამოუყვანეს „5“, ქარელის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ა. მწარიაშვილი, მასწ. ბ. არდემანაშვილი) მოსწავლეს, რომელმაც გამოცდაზე მათემატიკაში (წერა) მიიღო შეფასება „4“, საბოლოოდ ალგებრაში და გეომეტრიაში „5“ გამოუყვანეს. მისაღებ გამოცდებზე ამ მოსწავლეებმა საგნის უცოდინარობა გამოამჟღავნეს. ასეთსავე ფაქტს ჰქონდა ადგილი ხობის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ...ერაია, მასწ. შ. კალანდია).

ზოგიერთი სკოლის დირექტორი საკმაო ყურადღებას არ აქცევს სასკოლო დოკუმენტების გაფორმების საქმეს, კერძოდ დაუდევრობას იჩენს საგამოცდო ოქმებისა და საშუალო განათლების ატესტატების შევსების საქმეში: ვანის რაიონის შუ მთის საშუალო

სკოლის (დირექტორი მ. ფარცხალაძე, მასწ. გ. მეფარიშვილი) საგამოცდო ოქმში მოსწავლეს გეომეტრიაში უწერია „3“, საბოლოოდ კი შეფასება „4“ გამოუყვანეს; ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კარაპეტიანი) საგამოცდო ოქმში ხელს არ აწერს გამომცდელი მასწავლებელი, ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის (დირექტორი ტ. ლაბახუა) საგამოცდო ოქმში ქართული ლიტერატურის (წერა) ნიშანი სრულებით არ არის შეტანილი; მე-10 საშუალო სკოლის (დირექტორი დ. ჩაგანავა) ოქმში მათემატიკის საგამოცდო ოქმებს ხელს არ აწერს გამომცდელი მასწავლებელი; მახარაძის რაიონის ჯუმათის (დირექტორი გ. მორჩილაძე) სკოლის საგამოცდო ოქმში შეტანილი არ არის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ნიშნები; ხაშურის რაიონის ტეზრის (ყოფილი დირექტორი მ. ღონღაძე) ოქმს ხელს არ აწერს გამომცდელი მასწავლებელი და ა. შ.

იმის გამო, რომ ატესტატებისა და მოწმობების შევსების საქმეს ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება, 1970/71 სასწავლო წელს არასწორად შევსების გამო შეცვლილი იქნა 550-ზე მეტი ატესტატი და მოწმობა. ამ მხრივ სერიოზულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი კასპის რაიონის ლამისყანის (დირექტორი ნ. ფოჩიანი), ქ. თბილისის 72-ე (დირექტორი ვ. ლითანიშვილი), ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის (დირექტორი ვ. ლობჟანიძე), თეთრიწყაროს რაიონის პატარა ირაგის (დირექტორი მ. ალიხანიანი), ცაგერის რაიონის ლასურიაშის (დირექტორი გ. გოლეთიანი), მახარაძის რაიონის შრომის (დირექტორი რ. ჩხაიძე) და სხვა სკოლებში. ამ სკოლების მიერ გაცემულ ატესტატებში ან ზოგიერთი საგანი არ იყო ჩაწერილი, ან ბეჭედი გაურკვეველია, ან სრულებით არ არის შევსებული რუსული ტექსტები. რიგ სკოლებში შევსებული ატესტატების მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი არის ვურსდამთავრებულისათვის მშობლიური ენა, რადგან ის გრაფები, სადაც მშობლიური ენისა და ლიტერატურის ნიშნები უნდა ჩაიწეროს, არ ივსება.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგად სკოლების მუშაობაში გამოვლინებული სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების შედეგები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა:

ა) შექმნან სკოლებში ყველა საიმისო პირობა, რომ ყოველი მასწავლებელი სისტემატურად მუშაობდეს თავის თავზე, ეცნობოდეს ყველა მნიშვნელოვან სიახლეს საკუთარ სპეციალობაში; პედაგოგიური კოლექტივებისაგან მტკიცედ მოითხოვონ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის მთლიანად და მაღალხარისხოვნად ათვისება მოსწავლეთა მიერ, გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებით. თანდმიმდევრული მუშაობა გაშალონ იმ მიზნით, რათა ამაღლდეს აკადემიური წარმატების შეფასების ნიშნ „3“-ის როლი და ღირსება, რომ ეს შეფასება იმ მოსწავლეებს ეძლეოდეს, რომლებმაც ნამდვილად მკვიდრად იციან საგნის მინიმუმი; გატარდეს ქმედითი ღონისძიებანი „4“-ისა და „5“-ის გაუფასურებისა და საერთოდ წარმატების შეფასების საქმეში თვალისახვევის და ლიბერალიზმის წინააღმდეგ;

ბ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ დედა ენისა და ლიტერატურის სწავლებას, მოსწავლეებში სწორმეტყველებისა და სწორი წერის ჩვევების დანერგვასა და დამოუკიდებელი აზროვნების, დამოუკიდებლად წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მკაცრი ზომები მიიღონ ე. წ. „შპარგალკომანიის“ წინააღმდეგ;

გ) არსებითად გააუმჯობესონ მათემატიკური და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება, რათა პროგრამით დაწესებული მასალის მწყობრად, გასაგებად, თვალს ჩინოდ გადაცემასთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ თანმიმდევრულ სისტემატურ ვარჯიშს სათანადო სიძნელის ამოცანების ამოხსნასა და მაგალითების გამოყვანაზე;

დ) ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისას ფაქტების, მოვლენებისა და სპეციალური ნომენკლატურის მტკიცედ შესწავლასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ შესწავლილი მასალის გაზოგადებას და მოსწავლეებში მწყობრი მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებას;

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მო-

მზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის საშუალო სკოლის დირექტორებს: ა. ბერაიას (ხობის პირველი), ა. ელ[illegible] (გალის რაიონის ოტობაიის 1-ლი), ვ. დურგლიშვილს (ლენინგორის რაიონის ლარგვისის), გ. ქოიავას (აბაშის მეორე), პ. ჯანჯღავას (აბაშის რაიონის პირველი მაისის), ი. ჩართოლანს (მესტიის მეორე), მ. მესხს (ვანის), დ. ხუსკივაძეს (კასპის 1-ლი), ა. ნაცვლიშვილს (მეტეხის), ც. დალაქიშვილს (ხობის რაიონის ქვალონის), ა. ჯაფარიძეს (თერჯოლის რაიონის ზედა საზანოს), გ. ჯახველიძეს (ქარელის რაიონის ავლევის), ლ. ლორთქიფანიძეს (ქ. რუსთავის მე-15) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის საშუალო სკოლის დირექტორებს გ. ტერკაზარიანს (ადიგენის რაიონის აბასთუმნის), დ. გაშიბაიზოვს (წალკის რაიონის ბეშთაშენის), დ. ჩაგანავას (ქ. რუსთავის მე-10), ვ. დემურჩოვს (წალკის რაიონის ლივადის), ზ. გუდაძეს (ორჯონიკიძის რაიონის ლიხის), გ. ნოზაძეს (გომის), კაკიაშვილს (ხაშურის მე-2), ა. ტაბიძეს (სურამის 1-ლი) ს. გავაშელს (ონის რაიონის ღების), ი. ქიტოშვილს (გურჯაანის რაიონის ველისციხის), შ. გიბიტაშვილს (ვეჯინის), დ. კაჭკაჭიშვილს (თერჯოლის რაიონის ჩხარის), ს. ჭუმბურიძეს (ზესტაფონის მე-3), ზ. კვინიკაძეს (ზესტაფონის 1-ლი), ვ. მჭედლიშვილს (კასპის რაიონის კავთისხევის), ც. გუზმაზოვს (ზნაურის), ი. ულრელიძეს (ვანის რაიონის ტობანიერის), გ. ფარცხალაძეს (შუამთის) გამოეცხადოთ საყვედური.

4. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ნ. ლიპარტელიანს (ლენტეხის), მ. ჭელიძეს (ზესტაფონის მე-3), შ. მაკარიძესა და ო. შეყრილაძეს (თერჯოლის), ნ. გრძელიძეს (ჩხარის), ო. ვარდოსანიძეს (ზედა საზანოს), ე. ზარდიაშვილს (გურჯაანის რაიონის ვეჯინის), ქ. მიტიჩაშვილს (ველისციხის), ვ. ლობჟანიძეს (ონის რაიონის კვამხიეთის), თ. ლობჟანიძეს (ღების), ც. ჯაფარაშვილს (ხაშურის რაიონის გომის), გ. ლალუაშვილს (ხაშურის მე-2), ნ. ლაცაბიძეს (სურამის 1-ლი), გ. მერკვილაძეს (ქ. რუსთავის მე-10), ნ. ჩიტაიას (ცხაკაიას მე-7), პ. კარიბოვს (წალკის რაიონის ბეშთაშენის), გიორბალიდს (ლივადის), ბ. არდემანაშვილს (ქარელის 1-ლი), ა. ჭიჭიკოშვილს (ავლე-

ვის), გ. დათიაშვილს (ლანჩხუთის მე-2), ი. ჩართოლანს (მესტიის), გ. გახელაძეს (კასპის 1-ლი), ნ. ნონიკაშვილს (კავთისხევი), გ. ჯავახიშვილს (პირველი მაისის), ქ. იაგანაშვილს (რუსთავის მე-15), კ. ოსიტაშვილს (ზნაურის), ზ. ხუციშვილს (ლენინგორის ლარგვისის), დ. ბელთაძეს (ვანის კიროვის სახელობის), დ. გეფარიშვილს (ტობანიერის) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. თერჯოლის საშუალო სკოლის დირექტორი კ. გიორგაძე საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევისათვის განთავისუფლებულია დირექტორის თანამდებობიდან, ასევე განთავისუფლებული არიან დირექტორის თანამდებობიდან ქარელის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ა. მწარიაშვილი, თეთრი წყაროს რაიონის ერტისის საშუალო სკოლის დირექტორი გ. მანთაშაშვილი.

6. სასკოლო დოკუმენტების უყურადღებოდ და დაუდევრად წარმოებისათვის მახარაძის რაიონის ჯუმათის საშუალო სკოლის დირექტორს გ. მორჩილაძეს, შრომის საშუალო სკოლის დირექტორს რ. ჩხაიძეს, ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორს ტ. ლაბახუას, ქ. თბილისის 72-ე საშუალო სკოლის დირექტორს ე. ლოთანიშვილს, კასპის რაიონის ლამისყანის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ფოჩიანს, ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ლობჟანიძეს, თეთრი წყაროს რაიონის პატარა ირაკლის საშუალო სკოლის დირექტორს მ. ალიხანიდის, ცაგერის რაიონის ლასურიაშის საშუალო სკოლის დირექტორს ტ. გოლეთიანს გამოეცხადოთ საყვედური.

7. წინადადება მიეცეს ამ ბრძანებაში დასახელებული რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს არსებითად გააუმჯობესონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე. 1972 წლის 1-ლ მაისამდე საგანგებოდ შეისწავლონ დასახელებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მიიღონ ზომები იმ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო- აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას და ამ მხრივ გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1972 წლის პირველ ივნისამდე.

8. ბრძანება განხილული იქნეს რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი სწავლების დონის მკვეთრად ასამაღლებლად.

9. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 24 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 24 მარტის ბრძანება № 176

ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ტიპობრივი პროგრამებისა და ტიპობრივი სასწავლო გეგმების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 16 ივლისის № 20—რ4 გადაწყვეტილების შესასრულებლად,

ვბრძანებ

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან (ამხ. მ. ყოლბაია) ერთად:

ა) 1972 წლის 20 აგვისტომდე უზრუნველყოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული პროგრამების: მათემატიკის (მოსამზადებელი XII კლ.), ისტორიის (VI—XII კლ.), ბუნებისმცოდნეობის (III—VI კლ.), გეოგრაფიისა და ბიოლოგიის (VII—XII კლ.), ფიზიკის (IX—XII კლ.), ქიმიის (XI—XII კლ.), ხაზვის (VII—XII კლ.) და საგნობრივ-პრაქტიკული სწავლების (მოსამზადებელი—IV კლ.) თარგმნა, დაბეჭდვა და ადგილებზე დაგზავნა;

ბ) 1972 წლის 1-ელ აგვისტომდე შეადგინოს, წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად, დაბეჭდოს და ადგილებზე დაგზავნოს ორიგინალური პროგრამები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მოსამზადებელი—XII კლ.) და რუსულ ენაში (VI—XII კლ.).

2. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ახალ პროგრამებზე გადასვლის წარმოდგენილი ტიპობრივი გრაფიკი დამტკიცდეს (იხ. დანართი № 1).

3. ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ნაწილობრივ შეცვლილი ტიპობრივი სასწავლო გეგმა 1972—73 სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს (იხ. დანართი № 2).

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) თვალყური ადევნოს ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ახალ პროგრამებზე გადასვლის განხორციელებას;

გ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად, სსრ კავშირის პ/მეცნიერებათა აკადემიის დეფექტოლოგიის ინსტიტუტის დახმარებით, 1972 წლის ზაფხულში მოაწყოს 10 დღიანი კურსები ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთათვის ახალი პროგრამების გასაცნობად და შესასწავლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 16 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**
24 მარტი 1972 წელი.

ყრუ-ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ტიპობრივი სასწავლო გეგმა 1972—1973 წლისათვის

საგნების დასახელება	მოსაგზ.	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით,												სულ ყველ. საათები
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
მშობლიური ენა	8	10	10	11	12	14	14	12	7	6	5	4	4	117
მშობლიური ლიტერატურა	—	—	—	—	—	—	—	—	4	4	5	5	5	23
ქართული ენა ან რუსული ენა	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	2	2	2	16
მათემატიკა	4	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	76
ისტორია	—	—	—	—	—	—	2	2	2	3	3	2	2	16
ბუნებისმეტყველება	—	—	—	2	2	2	2	—	—	—	—	—	—	8
გეოგრაფია	—	—	—	—	—	—	—	2	3	2	2	3	2	14
ბიოლოგია	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	3	13
ფიზიკა	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	3	4	11
ხატვა	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	1	1	6
ქიმია	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4	3	7
სახვითი ხელოვნება	—	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	6
ფიზკულტურა და რითმიკა	2	2	2	2	2									10
ფიზკულტურა	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	2	2	2	16
საგნობრივ-პრაქტიკული სწავლება	6	5	5	4	4	—	1	—	—	—	—	—	—	24
შრომითი სწავლება და საწარმოო შრომითი მოამზადება	—	—	—	—	—	4	4	4	4	4	4	4	4	32
მთლიანად სავალდებულო მეცადინეობა	20	24	24	26	27	31	33	33	33	34	34	38	38	395

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ინდივიდუალური მუშაობა წარმოთქმაზე და სმენითი აღქმის განვითარებაზე	5	4	4	4	4	2	2	2	2	2	2	2	2	37
კლასგარეშე მეტყველების განვითარებაზე მუშაობა	4	4	4	3	3	2	2	2	2	2	2	—	—	30
ფაკულტატიური მცადინეობა	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	4
ს უ ლ	29	32	32	33	34	35	37	37	37	39	39	41	41	466
შრომითი და საწარმოო პრაქტიკა														
დღეებში	—	—	—	—	—	—	—	—	6	12	12	12	12	—
საათებში	—	—	—	—	—	—	—	—	18	48	48	48	48	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება იმავე ვადებში, როგორც ეს დადგენილია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

3. მოსამზადებელი კლასები შეიქმნება მხოლოდ იმ ბავშვებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ სკოლამდელი მომზადება სპეციალურ საბავშვო ბაღსა ან სკოლასთან არსებულ სკოლამდელ განყოფილებაში.

4. ს სწავლო გეგმით გათვალისწინებულია კლასგარეშე მუშაობა მოსწავლეებში საყოფაცხოვრებო ხასიათის მეტყველების განვითარების მიზნით. მუშაობას ატარებს მასწავლებელი სპეციალური ცხრილით.

5. საგნობრივ-პრაქტიკული სწავლებისათვის დადგენილი საათების რაოდენობაში შედის შრომითი სწავლების საათები (მოსამზადებელი—IV კლასები) და „მშობლიური ენის“ საათების ნაწილი (მოსამზადებელ კლასში—4 საათი, I—II კლასებში—3-3 საათი, III კლასში—2 საათი, IV კლასში—1 საათი).

6. სასწავლო ჯგუფის დ ტვირთვა შრომით სწავლებასა და საწარმოო შრომითი მომზადების ჯგუფებში განისაზღვრება 8—10 მოსწავლით.

7. საწარმოო და შრომითი პრაქტიკა ტარდება სასწავლო-მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ან სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში. პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

8. გონებით ჩამორჩენილ ყრუ ბავშვთა კლასების დატვირთვა განისაზღვრება 5—7 კაცით, საალმზრდელო ჯგუფისა კი 10—12 კაცით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუ ბავშვთა სკოლების ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი

№	საგნების დასახელება	1972/73 სასწ. წელი	1973/74 სასწ. წელი	1974/75 სასწ. წელი	1975/76 სასწ. წელი	1976/77 სასწ. წელი
	ჟმობლური ენა	0,I,V,VIII	II,VI,IX.	III,VII X	IV,XI	XII
	ლიტერატურა	VIII	IX	X	XI	XII
	ქართული ან რუსული ენა	V,VIII	VI,IX	VII,X	XI	XII
	მათემატიკა	0,IV,VIII	III,VI,IX	III,VII,X	IV,XI	XII
	ისტორია	VI,VIII	VII,IX	X	XI	XII
	ბუნებისმეტყველება	—	III	IV,V	VI	—
	გეოგრაფია	VII,VIII	IX	X	XI	XII
	ბიოლოგია	VII,VIII	IX	X	XI	XII
	ფიზიკა	—	IX	X	XI	XII
	ხაზვა	VII,VIII	IX	X	XI	XII
	ქიმია	—	—	—	XI	XII
	საგნობრივ-პრაქტიკული სწავლება	0,1	II	III	IV	—

შენიშვნა: გრაფიკი შედგენილია სამი რგოლის I — IV კლასების, V—VI კლასებისა და VIII—XII კლ. პარალელური გადასვლის გათვალისწინებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 10 აპრილის ბრძანება № 224

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების—„იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა ფაობაზე, რომლებიც თავს არიდებენ სასარგებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ, ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას“—შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1970—71 წლებში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ სხვა საკითხებთან ერთად კომპლექსურად შემოწმდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების შესრულება 42 საღამოს სკოლაში, კოლეგიის მიერ საკითხი განხილულია 5-ჯერ, ხოლო განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულება სპეციალურად არის შესწავლილი 21 ქალაქსა და რაიონში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სკოლებისა და საღამოს სკოლების სამართველოების მიერ დასახელებული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა შემოწმდა 10 ქალაქსა და რაიონში.

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დასტურდება, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 245 დადგენილების „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ განხორციელების ზომების შესახებ“—შესასრულებლად სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებულია გარკვეული ღონისძიებანი.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ს. ხოშტარია) აღნიშნული ბრძანების მიღებისთა-

ნავე გამოყო ორი პასუხისმგებელი მუშაკი—სასკოლო ინსპექტორი
რ. კახიძე და საზოგადოებრივი ინსპექტორი ი. ვორობეიჩიკი, რომ-
ლებიც სისტემატურად ახორციელებენ კონტროლს ბრძანებების შე-
სრულებაზე. საკითხი განხილულ იქნა სახალხო განათლების საბ-
ჭოზე 1970 წლის 15 ივნისს. სკოლების დირექტორების რაიონულ
თათბირზე 1970 წლის 21 აგვისტოს გამახვილდა ყურადღება იმ
ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა გატარებულიყო ამ ბრძა-
ნების შესასრულებლად. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა
შრომითი მოწყობის საკითხზე განათლების განყოფილებამ მოამზა-
და დადგენილების პროექტი პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუ-
როსა და რაისაბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე განსა-
ხილველად. ყოველწლიურად, როგორც წესი, სასწავლო წლის
დამთავრებისთანავე ეწყობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ-
თა შეხვედრა რაიონის წარმოება-დაწესებულებების, პროფტექსას-
წავლებლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებ-
ლების წარმომადგენლებთან. უკანასკნელი ორი სასწავლო წლის
განმავლობაში სკოლების სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტ-
ლაბორატორიების შესავსებად დახარჯულია 50770 მანეთი. რაი-
ონის სკოლები სისტემატურად აწყობენ საწარმოო ხასიათის
ექსკურსიებს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, ფეხ-
საცმელების № 1 ფაბრიკა „ისანში", საავეჯო კომბინატ „განთი-
ადში" და სხვა მსხვილ წარმოებებში. რაიონის ტერიტორიაზე
განლაგებული პროფტექნიკური სასწავლებლები სკოლებისათვის
პერიოდულად ატარებენ „ღია კარის დღეს", აწყობენ გამოფენებს
და შეხვედრებს საშუალო სკოლების მოსწავლეებთან. 82-ე, 84-ე,
85-ე, 96-ე, 103-ე, 124-ე და სხვა სკოლებმა შეხვედრა მოუწყვეს
სოციალისტური შრომის გმირებს ი. ხვედელიანს, ე. სოლომონიას,
ი. ცარკოვს, ვ. ასათიანს და სხვ. მოსწავლეებში შრომითი ჩვევე-
ბის გამოსამუშავებლად დასახელებული ბრძანების მიღების შემდეგ
ფაკულტატიური მეცადინეობა შრომაში შემოღებულია 85-ე, 86-ე,
87-ე, 89-ე და 93-ე სკოლებში, ხოლო 12 საშუალო სკოლაში ჩა-
მოყალიბდა ტექნიკური ხასიათის წრეები. მთელ რიგ სკოლებში
სასწავლო და სამეურნეო ინვენტარის შეკეთება და სამღებრო სა-
მუშაოები ხორციელდება მოსწავლეთა ბრიგადების მიერ. ამ გზით
1970/71 წლებში დაზოგილია 33500 მანეთზე მეტი სახელმწიფო
სახსრები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რაიონში გაიხსნა ორი საღამოს სკოლა. 21-ე ცვლიან სკოლას გამოეყო საკუთარი შენობა. სისტემატურად ხდება საღამოს სკოლების მუშაობის შესწავლა. ამ ტიპის სკოლებში მინიმუმამდეა დაყვანილი უმუშევარ მოსწავლეთა რაოდენობა. 16 წლამდე რვაკლასდამთავრებული მოზარდები საღამოს სკოლებში ჩარიცხული არიან არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული კომისიის გადაწყვეტილებით. მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები.

მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ვ. ცანავა) მუდმივი ყურადღების ცენტრშია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანება. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, 1970/71 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 421 ახალგაზრდიდან მხოლოდ 12 ახალგაზრდაა მოეწყობელი სამუშაოზე, ამათგან 7 საპატიო მიზეზით. საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა პრაქტიკა ტარდება ორგანიზებულად. შექმნილია 33 საწარმოო ბრიგადა, 85 რგოლით, სადაც გაერთიანებულია 2741 მოსწავლე. ფაკულტატიური მეცადინეობა ძირითადად მიმართულია მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამოსამუშავებლად. სისტემატურად ეწყობა შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან და წარმოების მოწინავეებთან. საღამოს სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა სწარმოებს განათლების სამინისტროს სათანადო მითითებათა დაცვით. მართლწესრიგის დარღვევის სერიოზულ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ანალოგიური მუშაობა აქვს ჩატარებული გორის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ა. ჩხეიძე). ხელოუბნის საშუალო სკოლის მაგალითზე სკოლის დირექტორებისა და სასკოლო ინსპექტორების სემინარის მიერ განხილულია ფაკულტატიური და შრომითი სწავლების როლი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეში. შესრულებულია საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის გეგმა.

ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონის საშუალო სკოლებს დამაკმაყოფილებელი ბაზა აქვთ მოსწავლეთა შრომითი სწავლების სწორად წარმართვისათვის. ქ. ბათუმის საშუალო სკოლების უფროსკლასელთათვის სისტემატურად ეწყობა სასწავლო ექსკურსიები ქალაქის მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში.

ქ. სოხუმის (გამგე ლ. უჩანეიშვილი) საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებთან ხშირად ეწყობა ლექციები დამოხსენებები სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის რაიონს (გამგე ა. სიგუა) საშუალო სკოლების 330 კურსდამთავრებულიდან 121 ახალგაზრდა სწავლას აგრძელებს უმაღლეს საწავლებლებში, ხოლო 209 მოწყობილია სავადასხვა სამუშაოზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის მთელი რიგ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები არასაკმაო ზომებს იღებენ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ზ. მიქელაძე) მიიღო რა ბრძანება „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, დაკმაყოფილდა მხოლოდ სკოლების დირექტორების გამოძახებით და ამ დოკუმენტის გაცნობაზე ხელმოწერით. გასულ სასწავლო წელს ამ რაიონის 580 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან 41 ახალგაზრდა შემოწმების მომენტისათვის არც მუშაობდა და არც სწავლობდა, ხოლო 862 რვაკლასდამთავრებულთაგან—55 სკოლასჩამოშორებული მოზარდი არც სამუშაოზე არ არის რომელიმე წარმოებაში. საღამოს სკოლებში სწავლობენ ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ. 1971 წელს რაიონის ტერიტორიაზე 5-მა მოსწავლემ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო 4 მართლწესრიგის უხეში დარღვევისათვის დაისაჯა.

სათანადო რეაგირების გარეშეა დატოვებული აღნიშნული საკითხი ქ. ბათუმის განათლების განყოფილებაში (განათლების განყოფილების ყოფილი გამგე გ. ლორთქიფანიძე, პედაგოგიკის მეთოდისტი გ. გურგენიძე).

ქ. ბათუმის საშუალო სკოლების 1970—71 სასწავლო წელს 906 კურსდამთავრებულიდან 152 ახალგაზრდა დაუ აქმებელია. 1971 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის სკოლების 33-მა მოსწავლემ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

ქ. რუსთავის განათლების განყოფილებას (ყოფილი გამგე რ. ურუშაძე) მიღებული არ აღმოჩნდა საქართველოს სსრ განა-

თლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანება. ქ. რუსთავის საღამოს სკოლებში 55 ახალგაზრდა უმუშევარია, ხოლო გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან 87 ახალგაზრდა არც მუშაობს და არც სწავლობს. 1971 წელს ქ. რუსთავში აღრიცხული იყო მოსწავლეთა მიერ მართლწერიგის დარღვევის 18 შემთხვევა.

კასპის რაიონის განათლების განყოფილებას დროულად აქვს მიღებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანება, მაგრამ არ განუხილავთ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე. ამ მიმართულებით არც სხვა რაიმე ღონისძიება არის გატარებული. გასულ სასწავლო წელს კასპის რაიონში 654-მა ახალგაზრდამ მიიღო საშუალო განათლების ატესტატი, აქედან 62 კურსდამთავრებული დაუსაქმებელია, ხოლო რვაკლასდამთავრებულთაგან 17 ახალგაზრდა ჩამოშორდა სკოლას და არსად არ მუშაობს. საღამოს სკოლის 9 მოსწავლე უმუშევარია. რაიონის ტერიტორიაზე გასულ წელს 4-მა მოსწავლემ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

ვბრძანებ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პირადად დააწესონ კონტროლი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების შესრულებაზე. ადგილებზე ყოველკვარტალურად შეისწავლონ დასახელებული ბრძანების შესრულების მდგომარეობა და შედეგები განიხილონ კოლეგიების და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) წელიწადში ორჯერ შეისწავლოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში (შერჩევით) იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით გატარებული ღონისძიებანი, რომლებიც თავს აერიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. ამავე ვადებში შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ყოველწლიურად დააზუსტოს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი ან არ მუშაობენ, მიიღოს ზომები აღ-

ნიშნული კონტინგენტის მინიმუმამდე დაყვანისათვის. ყოველ კვარტალში შეისწავლოს აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა 5—6 ქალაქსა და რაიონში და შედეგები მოახსენოს კოლეგიას წელიწადში ორჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების შესრულებაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლის განხორციელებისათვის ხელვაჩაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ზ. მიქელაძეს, ამავე რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგეს თ. გეგიძეს, ქ. ბათუმის პედკაბინეტის მეთოდისტს გ. გურგენიძეს მიეთითოთ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ქ. რუსთავის, ქ. ბათუმისა და კასპის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები რ. ურუშაძე, გ. ლორთქიფანიძე და ა. ბეჟანიშვილი განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ჩემს თანაშემწეს ლ. მამალაძეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 6 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.
16 მარტი 1972 წელი.

ინსტრუქცია

მოწმობების გაცემის შესახებ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორის, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება და აგრეთვე აგროტექნიკის საფუძვლები და მეცხოველეობა

1. მოსწავლეებს, რომელთაც წარმატებით გაიარეს სწავლება პროგრამებით: „ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და აგროტექნიკის საფუძვლები" და „მეცხოველეობის საფუძვლები და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია", მიეცემათ მოწმობა (დანართი 1) და უფლება ეძლევათ დადგენილი წესის მიხედვით (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წყალსამეურნეო მშენებლობის ორგანიზაციების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციათა მექანიზატორების ატესტაციის დებულება, დამტკიცებული სსრკ სოფლის მეურნეობის, სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ და შეთანხმებული სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და სსრკ მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკას"-თან), ჩაბარონ საკვალიფიკაციო გამოცდები ან მიიღონ ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობა სოფლის შემცირებულვადიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

2. მოწმობაში შეიტანება IX—X (XI) კლასებში მიღებული საბოლოო ნიშნები. ტრაქტორისა და კომბაინის პრაქტიკული ტა-

რების შეფასება ხდება საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავ-
ლეთა მუშაობის გათვალისწინებით.

3. დადგენილი ნიმუშის მოწმობას ამზადებს საქართველოს
სსრ განათლების სამინისტრო.

4. საკვალიფიკაციო გამოცდებზე (დანართი № 2) დაიშვებიან
ის პირნი, რომელთაც შეუსრულდათ 17 წელი და აქვთ სწავლების
კურსის დამთავრების მოწმობა. მოსწავლეები, რომლებიც ჩაბა-
რებენ გამოცდებს და შეასრულებენ საკვალიფიკაციო სინჯებს,
ღებულობენ III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის ერთიან მოწმო-
ბას სსრკ სოფლის მეურნეობის და სსრკ მინისტრთა საბჭოს პრო-
ფესიონალურ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის
მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით ტრაქტორისა და
სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის უფლების შესახებ
ტრაქტორისტ-მემანქანის ერთიანი მოწმობის გაცემის წესის თაო-
ბაზე.

სკოლების სამმართველოს
უფროსი ა. ჩხიკვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

დასახელება სამინისტროსი, რომელსაც ექვემდებარება სასწავლო დაწესებულება

_____

(ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი)

_____

(სკოლის დასახელება)

მ ო წ მ ო ბ ა №

აღნიშნული მოწმობა მიეცა_____ _____

_____ მასზედ, რომ მან გაიარა სწავლება

197 წლის _____ დან 197 წლის _____ მდე

_____ _____

_____ პროგრამის მიხედვით, შეისწავ-

ლა ქვემოთ ჩამოთვლილი საგნები და მიიღო მათში შემდეგი შეფასება: _____

_____

_____

ბ. ა. **დირექტორი**
დირექტორის მოადგილე
სასწავლო აღმზრდელობითი
მუშაობის დარგში
შრომის მასწავლებელი

III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის საკვალიფიკაციო დახასიათება

ეროვნული ბიბლიოთეკა

III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანემ:

1. ვალდებულია იცოდეს:

ა) მოცემულ მეურნეობაში გამოყენებული ორი ძირითადი მარკის ტრაქტორის (ბორბლებიანი და მუხლუხებიანი) და ამ ტრაქტორებთან აგრეგატირებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოწყობილობა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, აგრეთვე ტრაქტორის ტიპის სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობილობა;

ბ) რომელიმე ერთ-ერთი მარკის კომბაინის (მოსავლის ასაღები მანქანის) მოწყობილობა და ექსპლოატაციის წესები;

გ) რაიონის წამყვანი კულტურების მექანიზებული საველე დამუშავების ტექნოლოგიისა და აგროტექნიკის ძირითადი მოთხოვნები;

დ) ტრანსპორტის მოძრაობის წესები;

ე) ტრაქტორებზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკის წესები, იმ ბრიგადის ან განაყოფის შინაგანაწესი, რომელშიც იგი მუშაობს;

ვ) გამომუშავების ნორმები და მის მიერ წარმოებულ მექანიზებულ სამუშაოზე საწვავ-საცხები მასალების ხარჯვის ნორმები, მექანიზატორების შრომის ანაზღაურება, შესრულებული სამუშაოების და ნავთობის პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვის საფუძვლები;

ზ) ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შენახვის და საწვავ-საცხები მასალებისადმი მოპყრობის წესები:

თ) ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელ უწესივრობათა ძირითადი ნიშნები, მიზეზები და მათი დაძლევის ხერხები;

ი) საწვავ-საცხები და სხვა საექსპლოატაციო მასალების ეკონომიის ღონისძიებანი.

II. უნდა შეეძლოს:

ა) დამოუკიდებელი მუშაობა, როგორც წესი, ორი მარკის ტრაქტორზე (მუხლუხიანი და ბორბლებიანი), ამ ტრაქტორებთან აგრეგატირებულ მანქანებზე და ერთ-ერთი მარკის კომბაინზე, (მოსავლის ასაღებ მანქანაზე) იმ მექანიზატორებს, რომლებიც არ არიან დაუფლებულნი კომბაინის მართვასა და მასზე მუშაობას,

როგორც გამონაკლისი, შეიძლება დროებით მიეცეთ III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაცია იმ პირობით, რომ ისინი უგვიანეს ერთი წლის ვადისა, შეისწავლიან კომბაინის მართვას, მასზე მუშაობას და ჩააბარებენ შესაბამის გამოცდას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეასრულოს სატრაქტორო - სამუშაოები მექანიზებულ სამუშაოთა წარმოების აგროტექნიკის და ტექნოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) მართოს სატრანსპორტო ტრაქტორები;

დ) დამოუკიდებლად შეასრულოს მათი ყოველდღიური ტექნიკური მოვლისათვის აუცილებელი უმარტივესი სარეგულაციო ოპერაციები;

ე) ოსტატ-ამწყობის, ბრიგადირის, მექანიკოსის ხელმძღვანელობით შეასრულოს ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების პერიოდული ტექნიკური მოვლის ოპერაციები, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ტარიფიცირებულია მემონტაჟე-ზეინკლის II ან უფრო მაღალი თანრიგით;

ვ) აღმოფხვრას ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ისეთი უწესივრობანი, რომლებიც არ მოითხოვს კვანძებისა და მექანიზმების დაშლას;

ზ) ეკონომიურად ხარჯოს საწვავი, შესაზეთი, რეზინოტექნიკური და სხვა საექსპლოატაციო მასალები;

თ) ბრიგადირის, მექანიკოსის ხელმძღვანელობით მოამზადოს მანქანები შესანახად მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად;

ი) შეასრულოს უსაფრთხოების ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის და ჰიგიენის წესები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 181 ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 24 МАРТА 1972 ГОДА

Об утверждении отчета по республиканскому бюуджету Министерства просвещения Грузинской ССР на 1971 год

Из предусмотренных планом ассигнований 1971 г. по учреждениям, финансируемых из республиканского бюуджета,—21.196,0 тыс. рубл. было освоено — 19,821,0 тыс. руб. Всего неосвоено средств в размере—1,375,0 тыс. руб., из коих по мероприятиям общего образования—100,0 тыс руб. По централизованним капвложениям наибольшее неосвоение имело место в части строительства детсадов-яслей, где план ввода в действие детских мест был выполнен на 53%. По средствам, ассигнсванных на питание воспитанников специальных школ-интернатов не было освоено 55,0 тыс. руб., что явилось следствием невыполнения плана набора детей в количестве 257 чел., в основном ввиду неоткрытия школы-интерната детей со слабым зрением, предусмотренных планом и закрытия с июля 1971 г. Сигнагской школы-интерната глухонемых.

В части ремонтных сумм неосвоено 27,0 тыс. руб., полностью по реконструкции парка Тбилисского Дворца пионеров.

Наряду с неосвоением средств, некоторыми организациями допущен перерасход по хозяйственным расходам, так: Тбилисским пионер. дворцом—9,6 тыс. руб., Тбилисской спецшколой интернатом глухонемых детей—2,8 тыс. руб., республиканской экспериментальной школе—2,8 тыс. руб., а по фонду зарплаты Глданской спортивной школе—интернату—7,0 тыс. руб. Вместе с этим в отчетном году все еще имели место незаконные выплаты денежных средств в сумме 3,7 тыс. руб. и недостачи товаро-материальных ценностей в размере 1,8 тыс. руб , против 9,5 тыс. руб. и 2,9 тыс. руб. в 1970 году соответственно.

Имеет место значительная дебиторская и кредиторская задолженность; при чем на конец 1971 г. дебиторская задолженность определилась в сумме 49,0 тыс. рублей.

Кроме этого, задолженность родителей за содержание детей в школах-интернатах составила 17.0 тыс. руб. Наибольшую дебиторскую задолженность допущена Музыкальной средней школой интернатом 15,2 тыс. руб. (задолженность родителей), Глданская спортшкола-интернат № 1—6,2 тыс. руб. и республиканская школа высшего спортивного мастерства—5,5 тыс. руб. изжития указанных выше нарушений

Приказываю:

1. Обязать руководство учреждении:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий предусмотренных бюджетом.

2. Директорам специальных школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря: не допуская преждевременной его амортизации;

г) ввести строжайшую экономию по расходованию хозяйственных средств;

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А.):

а) при ассигнованни средств на 2-й квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

а) выделенные суммы по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

Отчет за 1971 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения ГССР от 24 марта 1972 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 91|86—საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 41-ა—წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 11
3. ბრძანება № 140—ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ 18
4. ბრძანება № 141—მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 28
5. ბრძანება № 170—სამხრეთ-ოსეთის, ალოლქში დუშეთის, დმანისისა და ონის რაიონებში სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 31
6. ბრძანება № 171—170—1971 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 36
7. ბრძანება № 176—ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ტიპობრივი სასწავლო გეგმების შესახებ 46
8. ბრძანება № 224—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების—„იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც თავს არიდებენ სასარგებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ, ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას“ შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ. 52
9. ინსტრუქცია—მოწმობების გაცემის შესახებ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორის, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება და აგრეთვე აგროტექნიკის საფუძვლები და მეცხოველეობა . 58
10. Приказ № 18'—Об утверждении отчета по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР на 1971 год. 63